

ტაცასი

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელ ეროვნულ აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e)

№ 2

ივლისი 1937

№ 2

შ ი ნ ა ა რ ს ი :

- ჰაიდარ ბაშატი — რეჟიმის აგონია. ლახვარი არმიას.
- ვლადიმერ ახმეტელი — კავკასიურ ერთა „აკ-ციონს - პროგრამა“.
- გ. კვინიტაძე — წითელ არმიაში.
- შ. ამირეჯიბი — საქართველო და კავკასია ძველ ფარგალში.
- ზ. ავალიშვილი — მეფე ვახტანგ მეექვსე სჯულ-მდებელი (1737 — 1937).
- ფარსმან - ფარუხი — ილიას დღეები საქართველოში.
- პ რ ე ს ა.
- ქ რ თ ნ ი კ ა.

რეზიგის აგონია.
ლახვარი არმიას.

წითელ არმიის მეთაურთა დახვრეტმ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაზედ. გაზე-თების უმრავლესობა ყოველ დღე უბრუნდება ამ საკრთხს და მრავალნაირის განმარტებით სურს ჩასწვდეს ამ მათთვის გაუგებარ და მო-ულოდნელ მოვლენას. ეს ამბავი მათთვის სრული აბსურდია და ყოველად უშნო დისონანსი, ანაზღეულად შეჭრილი, საქმეთა მსვლელობის იმ სწორ ტემპში, რომელიც მა-

ოს წარმოდგენით თითქოს უკვე ეწყობოდა რუსეთში.

არც თექვსმეტის პროცესს წარსულ აგვისტოში, სტალინის ამ სისხლიან შურისძიებას ისეთ ნაცად და ნამსახურ ბოლშევიკებზედ, როგორც ზამთრვიერი და კამენევი იყვნენ, არც რაღეცის, სოკოლნიკოვის, პიატაკოვსკის გა-სამართლებას და ამდენ სანოვნიკის და გუშინ-დელ ფავორიტის მკვლელობას არ შეუქმნია, გვგონია, ევროპის ფართო წრეებში და მეტა-დრე სახელმწიფო წრეებში ის შთაბეჭდილება და შეიძლება ითქვას — თავზარი და არევ-

დარევა, როგორიც მოჰყვა ეხლა მარშალ ტუხაჩევსკის და სხვა გენერლების დახვრეტას.

ნამდვილად კი რუსეთის სინამდვილის სწორე გასავებად, როგორც იდეოლოგიური თვალსაზრისით, ისე რეალურ - პოლიტიკურადაც, პირველი ორი პროცესის მნიშვნელობა უფრო შესამჩნევი და საყურადღებო იყო. მათ ძირამდის შეანძრიეს საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო მშენებლობის მთელი სიცრუჭვები და საბჭოთა ხელისუფლების ნგრევისა და წარმოუდგენელი შინაგანი გახრწნილების გულის შემზარავი სურათი გადაშალეს. რეუიმის დედაბოძი, რუსული კომუნიზმის შემქნელნი, ისინი ვინც კომუნიზმის შინაური თუ მისი საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი ფუძე იყო, მოულოდნელად და უცაბედათ დავარდნენ და ბავშვებივით თავი მოინანიეს. მაგრამ დავარდნენ — სრული ნათქვამი არ იქნება; გამოცხადებულ იქმნენ ისეთ დამნაშავეებათ, რომ მათი დახვრეტის გადადება ერთი წუთიც არ შეიძლებოდა.

მათი ადგილი ცარიელი დარჩა. გამოირკვა, რომ ქვეყანასთან მათ არაფერი არ აკავშირებდათ. გუშინ ბატონები, მბრძანებელნი და თვითნებანი, დღეს უცბად შეიძერტყნენ, უარი სთქვეს რა როგორც თავის აზრებზედ, ისე თავის საქმეებზედ. მერე ვინ იტყვის, რომ ისინი დიდი ხალხი არ იყო? განა რა არის მარშალი ტუხაჩევსკი თუ კი მას რუსულ რევოლუციის მოვლენებს შევადარებთ, თუ შევადარებთ საბჭოთა წყობილების ყოფნა - არ - ყოფნის საკითხებს, თუ შევადარებთ კამენევს, რადეკს, ზინოვიევს?

გამოდიოდა, რომ უკვე ამ ძველ ბოლშევიკების პროცესებმა გახადეს თვალსაჩინო, რომ, არსებითად, რუსეთში ხდება სახელმწიფო - საზოგადოებრივი გახრწნილების ღრმა და მხოლოდ ერთი პროცესი, რომ მოჩვენებით დიქტატურის სიმკაცრე მხოლოდ ხელისუფლების არ - არსებობას ჰქონავდა, რომ იქ არ

არის არც ბიუროკრატია, არც სამართალი, არც საზოგადოებრივი აზრი, არც რაიმე შეგნებული იდეოლოგია მართებლობაში და ხალხის მასებში, რომ ჩვენ წინაშე იმყოფება განწირული რეუიმი, განწირული ქვეყანა.

მაგრამ ას სამოცი მილიონის მირაუი, ვებერთელა რუსეთის ეს ძველი და ნაჩვევი მირაუი აქაც გამოჩნდა პორიზონტზედ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, სხვის მოსატყუებლად თუ თავის მოსატყუებლად, ეს მირაუი და ეს მოჩვენება აქაც წინ წამოსწიეს.

ყველა მათ, ვინც მუდამ სცდილობდა, რომ რუსეთი, თუნდა საბჭოთა, ვით ძლიერი საერთაშორისო -აქტორი კვლავ შემოეყვანა თანასწორ - უფლებიან წევრად, როგორც კულტურულ ოჯახში, ისე ყველა საერთაშორისო შეთანხმებაში, ეს დახვრეტა მხოლოდ იმისთვის გამოიყენეს, რათა კვლავ გაუსვან ხაზი ვითომდა იმ გარემოებას, რომ რუსეთი ამიერიდგან კომუნიზმზედ ხელს იღებს, რომ იგი ვითომ სახელმწიფო ცხოვრების წესებზე გადადის, რომ სტალინი ახალ დირექტივებს აძლევს მას და ემყარება იმ ძალებს, რომელიც რუსეთში ახლად შეიქმნა. წითელი არმია, რათქმა უნდა, პირველ რიგში ირიცხებოდა.

პარტია აკლებულია, ძველი სანოვნიკური ბიუროკრატია ლახვარ ჩაცემული, ყველგან გაბედული და გადამჭრელი წმენდა ხდება, მაგრამ, ამ რთულ და სისხლიან ორომტრიალში, წითელი არმია, რეუიმის ბჭე და სიამაყე — თითქოს ხელშეუხლები და ძლიერი იყო. თითქმის იმასაც კი ამბობდნენ, რომ ყველა ამას სწორედ ეს არმია სჩადიოდა და მათი უმფროსები კარნახობდნენ სტალინის პოლიტიკას.

და უცბად, არც აქედგან რომ არ ელოდნენ და არც იქიდგან, როცა ყველაფერი თითქოს იმ წესზე და რიგზედ იყო, რომელიც მათ სურდათ და ესიამოვნებოდათ, — ლახვარი სწორედ წითელ არმიას მოხვდა. მოხვდა მათ,

ვინც უფრო ცნობილი და მცოდნე უმფროსი იყო, მოხვდა მაღლებს, ვინც მეთაურობდა ქვეყნის თავდაცვას, მთელ იმ ორგანიზაციას, რომელიც ამ მთავარ სახელმწიფოს ძალას განაგებდა.

და ეს ხალხი, რომელსაც ასეთი უმთავრესი ფუნქცია ებარა, რეჟიმის საფუძველი და სიმაგრე, ისე ნაჩქარევად იხვრიტებიან, როგორც ვილაცა ბანდიტები, ომის დროს დანაშაულში წასწრებულნი.

თურმე მოღალატე და ჯაშუშები ყოფილან, თურმე თავისი სამშობლო უკვე მიუყიდიათ იმ ძლიერ და საშინელ საგარეო მტრისათვის, რომლის წინააღმდეგაც თითონვე უნდა ებრძოლათ.

ჩვენი საქმე არ არის, რომ ამ ბრალდებას თავი ავართვათ. საბჭოთა იურისლიქციის მეონებით ეს შეუძლებელიც ხდება. მაგრამ თუ კავარის უმფროსები ასეთი დამნაშავენი არიან, რაღა უნდა იყოს თვით ჯარი და როგორი უნდა იყოს მისი სამხედრო ფასი? ხოლო თუ ბრალდება მოგონილია, მით უარესი. განა წარმოსადეგია, რომ ხელისუფლებამ ასე გაუტეხოს სახელი ჯარის უმფროსებს, ან როგორ არის შესაძლებელი ამის შემდეგ თვით ამ ჯარის დისკიპლინა? ვის უნდა დაემორჩილო?

ყველაფერი ეს თავისთავად ცხადია. და, აი, რა იპყრობს მთელი ქვეყნის ყურადღებას. შეიძლება განა, ამის შემდეგ, მოსკოვთან კავშირის ლირებულებაზედ ლაპარაკი ამა თუ იმ

კომბინაციაში. ? ძველი მსჯელობის სისწორე ერთის დაკვრით არის გაქარწყლებული. გამოდის, რომ ამ ქვეყანაში თვით არმიაც არ არსებობს, ეს ერთად ერთი ხელშეუხები და, თითქოს, გამაერთიანებელი ძალა, რომელზედაც სახელწიფო ეყრდნობოდა და რომელიც ერს აერთიანებდა.

შემდეგ ისიც გამოირკვა, რომ არ არსებობს არც თვით რუსეთის ერი და არის მხოლოდ უხამსი და ნაძალადევად შექმნილი, მრავალ მილიონიანი, სხვა და სხვა ტომთა კონგლომერატი, რომლის უმრავლესობა თავის ბედზედ იწყევლება.

მართალი იყო განსვენებული პილსუდსკი, რომელიც ყოველივე ამას წინასწარ ხედავდა და მოსკოვის ორიენტაციას გადაჭრით უარ-ჰყოფდა, როცა სურდათ, რომ საფრანგეთ - საბჭოთა პაქტით მოეხიბლათ იგი. რუსეთის სინამდვილე გერმანიაშიც კარგად იციან და ესმით. მალე მიხვდებიან და უკვე ხედებიან კითევაც ამას ინგლისსა და საფრანგეთში. ამ მხრით უკანასკნელი ამბები, მართლა, მნიშვნელოვანი არიან.

ჩვენთვის კი, უჩვეულო ამაში არაფერია — ჩვენ მუდამ სწორედ იმმას ვამბობდით, რომ მოსკოვის სახელმწოდოებრივობაში მტკიცე არაფერია და იგი აუცილებლად უნდა დაიშალოს და დაიღუპოს.

ჰაიდარ ბაშატ.

კავკასიურ ერთა „აკციონს - პროგრამა“.

როს ეს ტოტნი, ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,
 ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?
 როს იგი ტომნი ცალ მიღწეულ მძლავრ კავკასისა
 ერთისა აზრით, ერთის ფიქრით გან დიდდებიან?

ილია ჭავჭავაძე

ცნობილია ყველა კავკასიურ ერთა მიერ შენახული ცოცხალი გადმოცემა, აღბეჭდილი, სხვათა შორის, ქართული ქრონიკის „ქართლის ცხოვრების“ მიერაც, რომ ყველა ეს ერნი ერთის წინაპართაგან ჩამომავლობენ....

ხანგრძლივი საერთო ისტორიული ცხოვრება, გეო - პოლიტიკური პირობებით შექმნილი, ტომობრივი სიახლოვე, ენათა ნათესავობა, მსგავსი ზნე და ჩვეულებანი, მათი სრული გაერთიანების მტკიცე საფუძველი არის. რა ხალხი არ წამოსულა ჩვენსა საერთო სამშობლოზედ, მის ჩასანთქმელად!... ხანდახან კიდევაც ახერხებდნენ ამას. ისინი ჯროებით იპრობდნენ ჩვენს მიწებს, იმონებდნენ მის მოსახლეობას, შეჰქონდათ შუღლი მის მრავალფეროვან წიაღში და ძმათა შორის სისხლიან შეტაკებას აჩალებდნენ. ამისდა მიუხედავად, ტომებმა, რომლებიც კავკასიაში უხსოვარ დროთვან მოსახლეობენ, მაინც შესძლეს და დღევანდლამდის შეინახეს როგორც ჩასული თავისებურება, ისე თავისი ენა, ზნე, ჩვეულება და ტრადიციანი. სამშობლოს სიყვარულმა მიაჩვია ისინი იმ აზრს, რომ საერთო კავკასიურ სახელმწიფოებრიობის შექმნა აუცილებელი რამ არის. ჩვენმა ბრძენმა ილიამ, რომლის დაბადების მეასე წლის თავს ამ უამაღვდლესასწაულობთ და რომელსაც ეკუთვნის ზემოდ მოყვანილი „მოტტო“ მესამოცე წლებში ნათქვამი, თავის მრავალ - სასიკეთო მოღვაწეობის დასაწყისში, კავკასიურ ერთადმი

მიმართული საკრამენტალური სიტყვები წარმოსთქვა:

„ერთად დავიღუპებით, ერთად ავშენდებითო“!

განა ჩვენი წარსული, როგორც უძველესი, ისე უახლოვესი სავსებით არ ადასტურებს ამ ლაკონურ ფრაზაში გამონასკვლ აზრის ჭეშმარიტებას!...

თუმცა მე ყოველივე დაჯგუფების გარეშე ვდგევარ, მაგრამ მაინცა მსურს, რომ შეძლებისდა გვარად და მოკლედ მეც გამოვსთქვა ჩემი შეხედულობანი, იმ საკითხის გამო, რომელსაც კავკასიური ემიგრანტული ეროვნული პრესა აყენებს. ეს არის იმ საფრთხის საკითხი, რომელიც თავისუფალ კავკასიას ჩრდილოეთიდგან და სამხრეთიდგან ემუქრება. ყველამ გულწრფელად და გულახლილად უნდა ვალვიაროთ, რომ დღევანდელ კავკასიის სამზღვრების გარეშე, ბედის ტრიალის გამო, დარჩა ისეთი ადგილები, რომლებიც ოდესლაც ჩვენს ხალხებს ეკუთვნოდა და რომელიც მოწყვულია ჩვენი სამშობლოს გმირულად დამცველ მამა - პაპათა წმიდა სისხლით. ეს ჩვენი მშობელი ადგილები ყველამ დავკარგეთ: მთიელებმაც, სომხებმაც, აზერბეიჯანელებმაც და ქართველებმაც. ეს ისტორიული ფაქტებია! მათი გაბათილება შეუძლებელია!... მაგრამ დღევანდელი რეალური პოლიტიკა ჩვენგან დიდ წინდახედულებას მოითხოვს. კამ დაკარ-

გულ ადგილების დევნა ცუდი დახასიათება) იქნებოდა კავკასიელ პოლიტიკოსისათვის, რომელიც ნამდვილად ისწრაფის, რომ დამოუკიდებელ კავკასიის იდეა განახორციელოს. ჩვენ არ უნდა გადავსცდეთ ჩვენს მთავარ ამოცანას. ჩვენი სწორი თვალი მიმართული უნდა იყოს, ჩვენი დროის იმ ერთად ერთ მტერზედ, რომელსაც ჩვენი ყოფილი მიწები კი არ უჭირავს, არამედ ის ნამდვილი ჩვენი ტერიტორიები, რომელზედაც ჩვენი ერები თავის თავისუფლების და დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ეროვნულ - კულტურულ ცხოვრების აშენებას ფიქრობენ. მიმოვიხედოთ გარშემო! ვინ ჩაჰავდომია განუკითხავად ჩრდილო კავკასიის საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიებს? ჩრდილოეთის საშინელი საფრთხეც სწორედ ეს არის! ის არ არის მხოლოდ გუშინდელი ამბავი! მას იხსენიებდნენ ბერძნული თქმულებანი. ბიბლიაში წინასწარმეტყველები (იეზეკილი და სხვ.) ქადაგებუნენ „ჩრდილო ზღვათაგან მოსულთა“ გამოჩენას, რომელთაგან, ინგლისელ ჯონ ურკვარტის მტკიცებით, ჯერ სკვითნი წარმოიშვნენ, მერე სარმატები, შემდეგ ხომ სლავიანებიც. ჩვენი ქართველი მეფენი, ამ ჩრდილო საფრთხის მოშიშარნი, დაუზოგველად სცდილობდნენ, რომ ისინი დარუბანდის რკინის კართან შეეჩერებინათ. მათი ცდა ამაო გამოდგა. მტერი კავკასიაში შემოვიდა და დარუბანდის კარი ტფილისში გაჩნდა, სიონის ტაძარის გალავანში. ეს მტერი მარტო ჩვენთვის, კავკასიელებისათვის, არ არის საშიში. იგი საშიშია ბევრი სხვა მრავალი ხალხებისათვისაც, ჩვენზედ უფრო უდრეკ და დიდბრძნებელთათვის. ჩრდილო ძალამ, მოსკოვის სახელმწიფოს დაარსების დროთაგან შემომტკიცებულმა, ბოლოს და ბოლოს უზარმაზარი სახელმწიფოებრივი გაერთიანება შექმნა, რომელიც კულტურულ სამყაროსათვის, ჭეშმარიტ საფრთხობელად იქცა. უკვე პეტრე დიდიდგან იწყება ამ ჩრდილო ძალის სამხრეთისაკენ მოზღვავება. რუსეთის პირველ იმპერატორსა მარტო კავკასიისათვის არ ერჩოდა გული. მისი გულის ყური სპარსეთისაკენ, ოსმალეთისაკენ და თვით შორეულ ინდოეთისაკენაც იწევდა. უკანასკნელმა გარემოებამ ინგლისსაც კი უცვალა ფერი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პეტრეს წადილი სინამდვილედ იქცა და რუსეთის მიერ კავკასიის შემოვლამ, სხავასაც ამცნო მოსალოდნელი საფრთხე. ოსმალეთმა და სპარსეთმა მეტად მაგრად დაიხიეს კავკასიიდგან. რუსეთის ბატონობა ჩვენს სამშობლოში საუკუნეშედ მეტი გაგრძელდა და იგი დაბალ კოლონაის ხარისხად აჭირეს. ისინი გამრაცლდენ ჩვენში იმ დროს, როცა უწინ სულ არ ყოფილა. რუსები ძალით მიერეკებოდნენ კავკასიონგან მის ადგილობრივ მცხოვრებლებს და ძალ ადგილზედ რუსულ პოსახლებას ჰქონდნენ, ან ასახლებდნენ არა კავკას-ურ ძირის ელემენტებს, რითაც ჩვენ ერებს ძირის საშინელ კრიზისს უქმნილნენ. ღარის სტრუნვიდნენ. ჩვენ ერთა ენებს, ისერთ უცოლის რობდნენ ჩვენს ზნესა და ჩვეულებას, ასინი არუსებდნენ კავკასიელებს რუსული განათლების ხერხებით, რუსის სამართალით, რომლის ენა ჩვენთვის უცნობი იყო. რუსებმა ამით ჩვენს ერებში სრული დემორალიზაცია შეიტანეს. ბოლოს ჩვენ სოფელს ის საჭირო საზოგადო დაწესებულებანიც ვერ მისცეს, რომლებიც თითონ ჰქონდათ ცენტრში. თუ რომელიმე ერს რაიმე გამსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ამასაც იმიტომ სჩადიოდნენ, რომ დანარჩენებში შური და ლვარძლი დაეთესათ. ასეთი მოქმედებით, ჯერ მეფის მოხელენი, ეხლა კი მათი ეპიგონები, მხოლოდ იმას სცდილობდნენ, რომ ყველაზედ ადრე, ეროვნულად განწყობილ და განუყოფელ კავკასიის ერთა გაერთიანების ცხოველ იდეისათვის ჩაეცათ სასიკვდილო ლახვარი. ამნაირის სისტემით იქცევიან ეხლაც, არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთის ყველა ნაწილში, სადაც კი სცხოვრობენ ისინი, ვისაც მათის ნომენკ-

ტო კავკასიისათვის არ ერჩოდა გული. მისი გულის ყური სპარსეთისაკენ, ოსმალეთისაკენ და თვით შორეულ ინდოეთისაკენაც იწევდა. უკანასკნელმა გარემოებამ ინგლისსაც კი უცვალა ფერი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პეტრეს წადილი სინამდვილედ იქცა და რუსეთის მიერ კავკასიის შემოვლამ, სხავასაც ამცნო მოსალოდნელი საფრთხე. ოსმალეთმა და სპარსეთმა მეტად მაგრად დაიხიეს კავკასიიდგან. რუსეთის ბატონობა ჩვენს სამშობლოში საუკუნეშედ მეტი გაგრძელდა და იგი დაბალ კოლონაის ხარისხად აჭირეს. ისინი გამრაცლდენ ჩვენში იმ დროს, როცა უწინ სულ არ ყოფილა. რუსები ძალით მიერეკებოდნენ კავკასიონგან მის ადგილობრივ მცხოვრებლებს და ძალ ადგილზედ რუსულ პოსახლებას ჰქონდნენ, ან ასახლებდნენ არა კავკას-ურ ძირის ელემენტებს, რითაც ჩვენ ერებს ძირის საშინელ კრიზისს უქმნილნენ. ღარის სტრუნვიდნენ. ჩვენ ერთა ენებს, ისერთ უცოლის რობდნენ ჩვენს ზნესა და ჩვეულებას, ასინი არუსებდნენ კავკასიელებს რუსული განათლების ხერხებით, რუსის სამართალით, რომლის ენა ჩვენთვის უცნობი იყო. რუსებმა ამით ჩვენს ერებში სრული დემორალიზაცია შეიტანეს. ბოლოს ჩვენ სოფელს ის საჭირო საზოგადო დაწესებულებანიც ვერ მისცეს, რომლებიც თითონ ჰქონდათ ცენტრში. თუ რომელიმე ერს რაიმე გამსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ამასაც იმიტომ სჩადიოდნენ, რომ დანარჩენებში შური და ლვარძლი დაეთესათ. ასეთი მოქმედებით, ჯერ მეფის მოხელენი, ეხლა კი მათი ეპიგონები, მხოლოდ იმას სცდილობდნენ, რომ ყველაზედ ადრე, ეროვნულად განწყობილ და განუყოფელ კავკასიის ერთა გაერთიანების ცხოველ იდეისათვის ჩაეცათ სასიკვდილო ლახვარი. ამნაირის სისტემით იქცევიან ეხლაც, არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთის ყველა ნაწილში, სადაც კი სცხოვრობენ ისინი, ვისაც მათის ნომენკ-

ლატურით „ინოროდცები“ ჰქვიან. აი სად
არის საფრთხე! აი, ვინ არის ჩვენი მთავარი
მტერი — ძალა, რომელიც ასეთ ექსპანსიებს
და ასეთ დამთრგუნველ პოტენციას იჩენს. ამ
ძალის საერთო ღონისძიებით თავიდგან მო-
შორება — ჩვენი დროის მოთხოვნილებას
წარმოადგენს! კავკასიურ ერთა აქტივური
პროგრამის შინაარსი ეს უნდა იყოს. ეს ამო-
ცანა არც ისე ადვილია, რომ თავი სხვა ირი-
ბულ შიშებსაც მივსცეთ. კავკასიელები დამ-
ფრთხალი არ უნდა ვუყურებდეთ აქეთ იქით.
თუ ამ ძნელ ამოცანას ვსძლიეთ, თავისუფალ
და დამოუკიდებელ ცხოვრების მოსურნე კა-
ვკასიურ ერებს, იმავე გაერთიანებული ძა-
ლით, არ გაუჭირდებათ, თავიდგან აიცილონ
სხვა საფრთხეც, საიდგანაც არ უნდა იყოს
იგი, ოლონდ ისიც ისევე რეალური და ნამდ-
ვილი იყოს, როგორც ჩრდილოეთის საფრთხე.
მთავარია, რომ ჯერ ეს ჩრდილოეთის აპოკა-
ლიპსური ცხოველი მოითოვოს, რომელიც ასე
თავ - აღებული მოიწევს ტფილ სამხრეთ ად-
გილებისაკენ...

შეგლობული

უნებლიერ გვაგონდება ახოვანი
რომელიც გერმანულ რაიხსტაგის წინ არის
ამართული... გერმანიის დიდებულ დამფუძნე-
ბელის თვალი ჩრდილოეთს გასცემის. ყური
დაუგდეთ ხალხის ხმას — როგორ ფიქრობს
ამაზედ'... მას ჰგონია, რომ უკვდავი თავადი
ბისმარკი თავის სამშობლოს და მთელ ქვე-
ყანას ამ ჩრდილოეთიდგან მომავალ საფრთ-
ხიდგან აფრთხილებს. თუ ასე ფიქრობს ძლიე-
რი ევროპა, რაღა უნდა ვითიქროთ ჩვენ, —
ვინც ამ ჩრდილოეთის ვეშაპის უშუალო კერ-
ძნი ვართ?!

ყველა და ყველაა მოვალე, რომ ვინცა
გრძნობს ამ უდიდეს საფრთხეს, თავისი ძალე-
ბი გააერთიანოს, რათა წინაღუდეს მას, არა
მარტო თავის, არამედ საკაცობრიო კეთილ-
დღეობისთვის.

ვაი იმ ერებს, ვინც დარჩება ან ვისაც ელის
დარჩენა რუსეთის ბატონობის ფარგალში!..


ვლადიმერ აზეტელი

ჭითალ არმიაში

მოსკოვში მომხდარმა ამბებმა მთელი მსო-
ფლიოს ყურადღება მიიპყრეს. იქ მართლა უც-
ნაური და უჩვეულო ამბავი მოხდა. ერთ დღე-
ში დაპატირებულ და გასამართლებულ იქმნენ
უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირნი.
ბრალად ედებოდათ უცხო ქვეყნისთვის ჯა-
შუშობა. მაგრამ როდესაც ჯაშუშს იჭერენ,
ჩვეულებრივ, ამას გრძელი გამოძიება მოს-
დევს, ვინაიდან საკმაო არ არის მარტო ერთი
ჯაშუშის ხელში ყოლა და საჭირო და აუცი-
ლებელია ჯაშუშთა მთელი ორგანიზაციის
ძირიანად ამოგდება. ასე ხდება თვით ომიანო-

ბის ღროსაც. მოსკოვში კი ერთი დღის განმა-
ვლობაში რვა კაცი გაასამართლეს, შეიძლება
ითქვას, რომ სამართლის ძალით მოჰკლეს.

ყველა მიხვდა, რომ სასამართლოს ამ საქმე-
ში ადგიგილი არ ჰქონია და მხოლოდ დახვრე-
ტის ჰქონდა აღგილი. ამის შესახებ მსოფლიო
პრესამ სხვა და სხვა აზრი გამოსთქვა და მკი-
თხველის ყურადღება ჩვენც უნდა ერთ გარე-
მოებაზედ მივაჭიოთ. დახვრეტილთა შორის
ყველაზედ დიდი თანამდებობის პირი, მარშა-
ლი ტუხაჩევსკი, ჯერ მეორე ხარისხოვან თა-
ნამდებობაზედ იყო გადაყვანილი, შემდეგ



უცბად დახვრეტილი. აქედან აშკარად სჩანს, რომ მარშალი ჯერ თავის ჯარებს დააშორეს, მერე მოჰკლეს. მთავრობისათვის, რომელიც ან თავის ძალას ვერა გრძნობს, ან თავის სიმართლეს, ასეთი ხერხი ჩვეულებრივია. ასევე მოიქცა კერძნები, როცა კავკასიის ჯარების მთავარ - სარდლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დაპატიმრება განიზრახა. დიდი მთავარი ჯერ რუსეთში გაიწვიეს, ვითომდა რუსეთის მთელ სამხედრო ძალების უფროსად, მერე გზაში დაპატიმრეს როსტოვში.

საერთოდ, მოსკოვში მომხდარ ამბების შესახებ მრავალი აზრი ტრიალებს. ერთი მათგანი ისიც არის, თითქოს ამ დახვრეტით სტალინმა ის პირნი მოიშორა თავიდგან, ვინც მას მსოფლიო რევოლუციის მოწყობაში ხელს უშლიდა. მაგარმ ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს, რადგან მაშინ გაუგებარი ხდება ზინოვიევის, კამენევის და სხვათა დახვრეტა, რომლებსაც სწორედ მსოფლიო რევოლუცია სურდათ. ურიგო არ იქნება ამ დახვრეტების ისტორიიდგან სხვა რამეც გავიხსენოთ: როდესაც ზინოვიევს და მის ამხანევებს ხვრეტავდნენ, გაზეთები მაშინ იმ აზრს გამოსთქვამდნენ, თითქოს სტალინი ხვრეტდა მათ, როგორც სახელმწიფოებრივი განმტკიცების ხელის შემშლელ პირებს. დასასრულ, გერმანულ პრესის ერთი ნაწილი გამოსთქვამდა აზრს, რომ დახვრეტილთა შორის, სტალინისა და საზოგადოთ არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, შეთქმულობა არსებობდა და ვითომც რადეკის მიერ იყვნენ გაცემული, რის მეოხებითაც უკანასკნელმა სიცოცხლე შეინარჩუნა. შეიძლება ითქვას, რომ მართალი არც ეს უნდა იყოს.

როგორც უკვე ითქვა ზემოდ, ჯაშუშობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. წარმოუდგენელია, რომ ეს ამოდენა ხალხი ყველა ჯაშუში გახდა და ისიც ასეთი მაღალი თანამდებობის პირნი. მაშინ წარმოუდგენელი ხდება ასეთი

საეჭვო ხალხის ასეთ მაღალ თანამდებობაზედაც დანიშვნა. ვსთქვათ, რომ დანიშვნის დროს, ერთის ან ორი პირის შესახებ ჰქონდა ადგილი შეცდომას, მაგრამ ერთბაშად რვა ჯაშუშის ასეთ თანამდებობაზედ დანიშვნას მხოლოდ დამპალ რეუიმის დროს არის შესაძლებელი.

დაუჯერებელია აგრეთვე დახვრეტილთა შორის შეთქმულობის არსებობის ამბავიც. ისპანიის მაგალითი ამ შემთხვევაში მეტად საგულისხმოა. იქ მართლა არსებობდა შეთქმულობა: მაგრამ საკმაო იყო მთავრობას ერთი შეთქმულთაგანი, (მონარქისაცების მეთაური) დაეხვრიტა, რომ დანარჩენ შეთქმულებს მაშინვე აჯანყება დაეწყოთ. ასე უნდა ექმნათ მათ, თუ არ სურდათ, რომ დახვრეტილის ბედი გაეზიარებინათ. ეს არის ყველა აჯანყების მთავარი და აუცილებელი პირობა.

მაშ როგორ მოხდა რუსეთში, რომ ვერც ტუხაჩევსკის გადაყენებამ, ვერც გამარნიკის თვითმკვლელობამ ვერ წააქეზა შეთქმულნი, რომ ხელი იარაღისათვის მიეყოთ და ისე გადაეჭრათ როგორც შეთქმულობის, ისე საკუთარი ბედი?! მაგრამ ამის ნაცვლად შეთქმულნი ცხვრებივით იქმნენ დახოცილნი. ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ. მოკლულ იქმნა გამარნიკიც და არა თავი მოიკლა.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე საბრალმდებლო ოქმიც. ამ საბრალო ხალხს ათას ბრალსა სდებდნენ: იმასაც კი, ვითომც ხელისუფლების გადაცემა შეთქმულებს, „პომეშჩიკებისა“ და „კაპიტალისტებისათვის“ სურდათ. ეს ხომ პირდაპირ სასაცილო ამბავია.

მსგავსი ამბავი რუსეთის ძველი ისტორიიდანაც კარგად ცნობილია. ოპრიჩნიკებიც ვითომდა ლალატის ამოსაგდებად ხოცავდნენ და არბევდნენ ხალხს. საამისოთ ნიშნებიც შესაფერი ჰქონდათ: ძალლის თავი და ცოცხები! „კბილებითა ვგლეჯთ მოლალატებს და ცოცხითა ვგვით და ვწმენდთ რუსეთსო!“.

ამ რიგად თუ რუსეთის ამბებს ჩაუკვირდებით, იქ შეთქმულობას და ჯაშუშობას ადგილი არა ჰქონია. იქ მომხდარი ამბები განსაკუთრებულად რუსული და მხოლოდ და მხოლოდ იქ დამყარებულ წესწყობილების შედეგია. ამ წესწყობილების წყალობით სტალინს ვერც ხელისუფლებისათვის თავის დანებება შეუძლიან, ვერც მართვა - გამგეობის სხვაზედ გადაცემა. კომუნისტებს ისეთი დღე დაუდგათ, რომ საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ რეუიმის შენარჩუნებით და შეუძლიანთ. მათი ერთად ერთი ხერხია ყველა აშინონ და ქვეყანა შიშით მართონ. იქ ყველა საეჭვო პირი საშიშო პირია და მისი ბედი წინასწარ გადაწყვეტილია: ის უნდა მოიკლას, ან ციმბირში და სხვაგან გადაიგზავნოს.

სტალინმა ერთ ახალ ხერხსაც მიმართა: დასახვრეტი გენერლების გასამართლება იმ გენერლებს დაავალა, რომლებმაც დახვრეტილების ადგილები ჩაიბარეს. ერთი მხრით საზოგა-

დოებას და სალხს დააშორა ეს გენერლები, მეორე მხრით თითონ გაიხადა ისინი ყურ - მოჭრილ ყვებალ.

სხვათა მორის, გენერალ შაპოშნიკოვს პირადათ ვიცნობდი. სამხედრო აკადემიაში სამი წელი დავყავით ერთად. არ შეიძლება ითქვას, რომ დიდი თაოსნობის და გამბედავობის კაცი იყოს. მაგრამ მორჩილი და საჭმის ბეჯითი აღმასრულებელი კარგია.

რუსულ ემიგრაციაში ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ გენერლების დახვრეტა რუსულ ჯარში და რუს ერში ეროვნულ გრძნობის გაღვივების მაჩვენებელიაო.

მაგარმ რაღა ვოროშილოვები დარჩენენ ამ რუსულ ეროვნულ გრძნობის გაღვიძების გარეშე და დაიხვრიტნენ სწორედ ისინი, ვინც ტომით რუსები არ იყვნენ: გამარნიკები, პუტნები, იაკირები და კორკები?!

გ. კვინიტაძე

საქართველო და კავკასია ძველ ფარგლები.

ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ოსმალეთმა დამოუკიდებელ საქართველოს კუთვნილი ადგილები წაიღო. ამაზედ კიდევ აღრე იმავე ოსმალეთმა, სომხეთს ყარსის ოლქი ჩამოაცალა. ამრიგად, მსოფლიო ომში დამარცხებულ სახელმწიფოთა შორის, ოსმალეთი ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელმაც ახალი ტერიტორიები შეიძინა. ვერსალის ზავის ეპოქაში ეს ამბავი უმაგალითოა. მაგრამ ასეთი პრივილეგიური მდგომარეობა ოსმალეთს ბოლშევიკურმა რუსეთმა შეუქმნა. შესაძლებელია საქმე არც ამაზედ გათავდეს და მომავალში, თუ რუსთი კავკასიიდგან დაიძრა, საქართველოსა და

კავკასიის 'აქმეებში ოსმალეთი კვლავ ჩაერიოს.

ასეთია დღევანდელი მდგომარეობა და მომავლის შესაძლო პერსპექტივა.

სანუგეშო და საქართველოსთვის სახარბიელო ამაში არაფერია. კავკასია უპატრონო ჭვეეყანასა ჰგავს. ხან რუსეთი იტაცებს მას, ხან ოსმალეთი, ხან ორივე ერთად. დროთა მსვლელობაში, შესაძლებელია, საქმე უფრო გართულდეს და, ძველი ტრადიციის მიხედვით, კავკასიის საქმეებში სპარსეთიც ჩაერიოს.

ამავე დროს კავკასიის ერები გაერთიანებული ვერ არიან. იქ, კავკასიაში, რუსულ არ-



ტახებში არიან შეკრული, აქ, ემიგრაციაში მრავალ ჯგუფებად, ქვე - ჯგუფებად და ზე ჯგუფებად დაქსაქსული, თუმცა ყოველი მათგანი არა მარტო თავის პარტიის, არამედ მთელი ერის სახელით ლაპარაკობს. არსებობს ეგრედ წოდებული „კავკასიის კონფედერატიული საბჭო“, მაგრამ ის მკვდარია. არსებობს აგრეთვე „სომხურ - ქართული უნიონი“, მაგრამ როგორც მისი სახელწოდებიდგან სჩანს, ესეც მხოლოდ ნახევრად აერთიანებს კავკასიას. დარჩა მხოლოდ უურნალ „კავკაზის“ გაერთიანება, რომელიც მხოლოდ ერთი ქადაგებს კავკასიის ერთა სოლიდარობის იდეას.

მაგრამ უცნაური და მარტლა კავკასიურად ჭრელი ამბავი ის არის, რომ ყველა ამ თითონაც ვითომდა კონფედერატიულად „განწყობილ“ ხალხს, იერიში სწორედ ამ ერთად - ერთ კონფედერატიულ ორგანოზედ მოაქვს. მენშევიკები მას „თურქოფილობას“ სწამებენ, „თურქი“ - აზერბეიჯანელები — რუსოფილობას. ეს ჯუმრობა არ არის და სტამბულში სწორედ ასე ვართ დაბეჭდებული. სომხებზედ ხომ ლაპარაკი მეტია. ბოლო დროს ჩვენს წინააღმდეგ „ქართლოსი“-ც ამზედრდა.

მართალია ამისი მიზეზი სხვა იყო და არა, მარტლა, ჩვენი „თურქოფილობა“. ამ უურნალს სრულიად მეგობრულად და თავაზიანად მოახსენეს, რომ კავკასიაში ეროვნულ სახელმწიფოთა აღდგენას აქეთ - იქით მიხედვა უნდა. მით უმეტეს, როცა „ქართლოსი“ ქართულ მონარქიის აღდგენაზედ ლაპარაკობს. „ქართლოსსაც“ კარგად უნდა ესმოდეს, რომ იმ დროს, როცა დანარჩენი კავკასიური ერები მონარხიზმზედ სულ არ ფიქრობენ, „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ბლერა, არც თვით ქართულ მონარქიზმს გამოადგება ჰიმნად. მაგრამ რაკი კამათი „გაიხსნა“, „თურქოფილობას“ აბა, სხვა რომელი საბუთი აჯობებდა ჩვენს წინააღმდეგ და უურნალმაც აქედგან მოგვიარა.

ჩვენი თურქოფილობა რომ სრული ურთიერთამებაა, ამაზედ ლაპარაკიც მეტია, მაგრამ ამაზედ უარესი კიდევ ის არის, რომ ჩვენი ცილისმწამებელნი კავკასიური პრობლემის სრულ უკოდინარობასაც იჩენენ.

მთელს კავკასიურ პრესაში სწორედ ეს უურნალი „კავკაზია“ ერთად ერთი, რომელიც მთავარ ყურადღებას კავკასიის წარსულს აქცევს და მის ისტორიაზედ უხვადა სწერს. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ მხოლოდ კავკაზოფილები ვართ. ბ. ზ. ავალიშვილის წერილები, ამ მხრით დიდათ თვალსაჩინო გამონაკლისია ემიგრაციაში. ცნობისმოყვარე ქართველს ამ წერილებიდგან, ადვილად შეუძლიან გაიგოს თუ რას ნიშნავს, როცა საქართველო და კავკასია დამოუკიდებელია, ვინ არის მაშინ მათი მეზობელი და რომელია ის ფარგალი, სადაც ისინი ბუნებრივად თავსდებიან.

ამ ისტორიიდგან ვტყობილობთ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მეზობლები, ჩვენდა დაუკითხავად და სრულიად ბუნებრივად, ოსმალეთი და სპარსეთია, ხოლო კერძოთ ჩვენთვის, ქართველებისთვის — დანარჩენი კავკასიელებიც. ამ ერთა პოლიტიკა, მუდამ ჩვენ პოლიტიკასაც საზღვრავდა.

რადგან დღეს ჩვენს პრესაში ბათუმზედ ჩამოვარდა სიტყვა, უნდა ითქვას, რომ ზოგი ამათგანი ნშარად იტაცებდა არა მარტო ბათუმს, რომელშიაც მაშინ ორი ძალი ერთად არ ჰყეფდა, არამედ საქართველოს გულს — ტფილისაც. ესე იგი ხდებოდა ის, რაც სხვაგანაც ხშირად მომხდარა, სადაც არსებობს ერთა დამოუკიდებულება, დიდი და პატარა, ომი და ზავი, სადაც ყველგან ერთი და იგივე ცხოვრების ჩარხი ბრუნავს. ჩვენში ამას, რა თქმა უნდა, უფრო ისეთი დიდი მეზობლები სჩაღიოდნენ, როგორც სპარსეთი და ოსმალეთია. მაგრამ სჩაღიოდა ამას ჩვენი უფრო ახლო მეზობელიც და ზოგჯერ საკუთარი სისხ-

ლის ხალხიც, თუმცა მრავალ იძულებით მიზეზების გამო, გასაოცარი არც ეს არის. ისტორია ხშირად დაუნდობელია!..

განა ბევრმა ქართველმა იცის ის ამბავი, რომ თავის საქმეს ჩვენში ოსმალეთი ხშირად გამამაღიანებულ მესხეთის საშუალებით აკეთებდა? განა ბევრმა ქართველმა იცის აგრეთვე, რომ 1795 წელს, ტფილისი — კავაკისის მშვენება — მეთვრამეტე საუკუნეში, სასაბლეთა, ეკლესიათა და წითელ ქვის აბანოთა ტურფა ქალაქი, ნამდვილად ჯევად - ხანის, ანუ ჩვენ მეზობელ განჯის ჯარმა დასწვა და დაანგრია?

ასეთ გამუდმებულ საშინელებისაგან ერთ-ხელ რუსეთმა გვიხსნა. ვიდრე საქართველოში რუსეთი იყო, ჩვენში ოსმალეთი ველარ მოდიოდა, ველარ მოდიოდა ასაოხრებლად ვერც სპარსეთი და ვერც ჩვენი ახლო მეზობლები და სისხლით მონათესავე ნაწილები მოქმედებდნენ ხოლმე, როგორც მათი ავანგარდები. ართვინი და არტაანი საქართველოს რუსეთმა დაუბრუნა. ბათუმი ოსმალოს ხელში ზღვის უდაბნო ნაპირი, რუსების დროს ქართველობამ აყვავებულ ქალაქად აქცია. ოსმალეთისა იქ ერთი აგურიც არ არის. საზოგადოთ, ბათუმის ოლქში ოსმალური არაფერია. ყველაფერი ეს რუსეთის მაღლით მოხდა. სასაცილოა თუ ვინმეს ჰერი, რომ ასეთ ბათუმს ჩვენ ვისმე „უთმობთ“.

მაგრამ დღეს ჩვენ რუსეთი აღარ მოგვწონს და გვინდა, რომ რუსეთი ჩვენი ქვეყნიდგან წავიდეს. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყოს! ასე არის, გვვონია, მიღებული ქარუთლ ემიგრაციაშიაც, თუ, რა თქმა უნდა, აღამიანები არ თვალთმაქცობენ და ერთს არ ამბობენ, როცა გულში სხვას ფიქრობენ.


მაგრამ რუსეთის ამ წასვლას საქართველოდგან და კავკასიიდგან მუდამ ერთი აუცილე-

ბელი გარემოება მოსდევს: საქართველოდა კავკასია ერთი ფარგლიდგან გამოდიან და მეორეში შედიან. ეს არის კავკასია — სპარსეთ — ოსმალეთის ფარგალი. ახალი და გაუგონარი საქართველოსთვის ამ ფარგალში არაფერია. პირიქით, ეს არის მთელი ჩვენი წარსული ისტორიის გამოცოცხლება, არა მარტო ქართული პოლიტიკის აღდგენა, არამედ წინა აზიის პოლიტიკის გაცოცხლებაც კავკასიისათვის. გინდა თუ არა, ძველი ცხოვრება უნდა გაიხსენო, ძველი მეზობელი იცნო, მასთან პირობა და ზავი დასდო, ხოლო თუ არც ზავმა ივარგა — იომო კიდევაც!

რა თქმა უნდა, ეს უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე რუსეთის კალთაში უზრუნველად წოლა. მაგრამ დამოუკიდებლობაც სწორედ ეს არის. ზავისა და ომის, მეგობრობისა და უნძრახობის, წაგლეჯისა და დაბრუნების საკითხები მხოლოდ დამოუკიდებელ ერთა შორის არსებობს. ვის გაუგონია, რომ დამონებულ ერს ომი გამოეცხადებინოს, ზავზე ხელი მოეწეროს, თავისუფლად ემოქმედოს, სხვა სახელმწიფოსთან ავი თუ კარგი დამოკიდებულება ჰქონდეს.

ამიტომ, როდესაც ყოველ ჩვენს სიტყვაზედ, რომ ჩვენს ბუნებრივ და ისტორიულ ფარგალში გადასვლას შემზადება უნდა, ძველ მეზობლობას აღდგენა — ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ ან თურქოფილები ვართ ან კიდევ სხვა რამე, ეს მხოლოდ საბუთია ჩვენთვის ვიფიქროთ, რომ ჩვენში ყოფილა ხალხი, რომელსაც თავისი დამოუკიდებლობის შინებია, მისთვის თავი ვერ აურთვია და ყველაფერზედ ფილენჯი ემართება.

ჩვენთან კამათის ნაცვლად, ჩვენზედ ჭორების შეთხზვის მაგიერ და ჩვენი სახელის წახდენის ცდის წილ, იქნება უკეთესი იყოს, რომ ასეთმა პირებმა თავის თავს დაუსვან კითხვა: მართლა უნდათ მათ დამოუკიდებლობა ყველა მისი შედეგებით, თუ ამჯობინებენ — სა-



ქართველო ისევ რუსეთთან დარჩეს, რადგან იქ ცხოვრება უფრო „იოლი“ იქნება.

სხვანაირად ყოვლად წარმოუდგენელია ის ყოყოჩიბა პოლიტიკაში, რომელსაც ისინი იჩენენ. თავისი ისტორიული ფარგალი, ეტყობა, არ მოსწონთ, მეზობლები, მით უმეტესად. თურმე მეზობელთან ისე ყოფილა შესაძლებელი ცხოვრება, რომ „არც მტერი იყო მისა,

არც მეგობარი“, მაშინაც კი, როცა, საკუთარი რი თქმით, მეზობელი აშკარა მტერია... და ამას ეძახიან ეს პატივცემული ულტრა-ბატრიოტები ეროვნულ ინტერესების დაცვის პოლიტიკას და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას!

შ. ამირეჯიბი.



მეცნ ვახტანგ VI სჯულადებელი

(1737 — 1937)

ორმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც მოკვდა მეფე ვახტანგ VI (25 არტს 1737 წ.) და ეს გარემოება საბაბს გვაძლევს, რათა ეს შესანიშნავი აღამიანი მოვიგონოთ, გავიხსენოთ როგორც მისი საქმენი და ქველობა, აგრეთვე მისი პოლიტიკური კარიერის ბოლოც. ოვალი გადავავლოთ აგრეთვე მის მარცხის მიზეზს და იმ კრიზისსაც, რომელიც პეტრე დიდის ცნობილმა 1722 წლის ლაშქრობამ სპარსეთზე და ამით გაომწვეულმა ოსმალეთის საქართველოში და შირვანში შემოსევამ — კავკასიაში წარმოშვა.

ვახტანგი მიიცვალა ასტრახანში და დაკრძალულია ამ თევზითა და ხიზილალით განთქმულქალაქის კათედრალში, და უფრო კი თავის მნიშვნელობით, რომელიც ამ ქალაქს რუსეთის იმპერიისთვის ჰქონდა, როგორც კასპიის, სპარსული და კავკასიური პოლიტიკის ბაზას.

კერძოდ უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ კავკასიის ამ დირეზედ, ვახტანგ VI-ის და მისი სიძის — თეიმურაზ II-ის (ირაკლი მეო-

რის მამა) ეს საფლავები ასტრახანში, ისე გამოიყურებიან, როგორც აუმხდარი იმედების და გაცრუებული მოლოდინის დაღვრემილი ძეგლები.

მაგრამ ვახტანგის ელდიანი და შეჭირვებული ცხოვრება რუსეთში, მოყოლებული 1725 წლიდგან, ვიდრე 1737 წლამდე, როცა მოკვდა, მისი სიცოცხლის შედარებით ნაკლებად საყურადღებო ხანას წარმოადგენს. მისი შეჭირვება რუსეთით არ დაწყებულა. არც ის ითქმის, თითქოს რუსეთს იგი სათანადო პატივით და უხვი მასპინძლობით არ მიეღოს. მაგრამ იმ დღიდგან, რაც 1725 წლის ზაფხულში, მეფე იმერეთიდგან ყაბარდოში მივიდა, თავის ჩრდილო - კავკასიელ მოკეთეებთან, (ცოლად ყაბარდოს ბატონის მისოსტის ასული ჰყავდა), მისი პოლიტიკური ცხოვრება უკვე გადატეხილად უნდა ჩაითვალოს, თუმცა სამშობლოში დაბრუნების მაცდური ლანდი არა ერთხელ აღმართულა მის წინაშე.

საბედნიეროთ და მისდა საღიდებლად უნდა ითქვას, რომ იმ ხან - მოკლე მეფობის დროს

ქართლში, მაგრამ იმ დიდი ნიჭიერების მეობით, რომელიც მან მშვიდობიან მშენებლობის დარგში გამოიჩინა, მან შესძლო ისეთი კვალი დაემჩნია თავის ქვეყნისთვის, რომელიც მას უკვდავებას ანიჭებს.

ასე, მაგალითად, მისი სახელი მჭიდროდ არის გადაწყვეტილი ცნობილ ვახტანგ მეფის ძე-გლისდებასთან, კანონდების იმ ნაკრეფ ძეგლთან, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიაც კი ჰქონდა. ამ ძეგლმა დიდი ხანია რაც მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო და ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეოცე წლებში, პარიზში უნდა დაბეჭდილიყო ბროსეს მიერ შემზადებული მისი ფრანგული თარგმანი. მაგრამ ამას 1830 წლის რევოლუციამ შეუშალა ხელი. ვახტანგის კოდიკო, მით მაინც, ბევრი გამოკვლევის საგანი გახდა. ეხლა ხომ საფრანგეთში მას სათანადოთაც სწავლობენ, სადაც, მაგალითად, სტრატეგიური მეცნიერმა კარსტმა, მრავალ ტომიან შრომის გამოცემას მიჰყო ხელი, რომელშიაც განხილულია ვახტანგის კოდიკო და მთიელთა ადათური სამართალი. ეს განზრახვა ნაწილობრივ შესრულებულია კიდევაც.


ვახტანგმავე გამოსცა მეორე მნიშვნელოვანი კრებული — მართებლობის სხვა და სხვა დარგში ნახმარ წესების კოდიფიკაცია — სახელად დასტურლამალი, რომელიც ჩინებულ წარმოდგენას იძლევა ქვეყნის მეურნეობაზედ, აღმინისტრაციაზედ, მეფის კარის გარიგებაზედ და სხვა.

დიდი და საგმირო საქმედ მოსჩანს, იმ დროის ძნელ პირობებში, ვახტანგის მიერ ტფილი-სში, 1709 წლის მახლობლად, სტამბის დაარსება, თუმცა ნაგვიანევი ევროპასთან შედარებით, მაგრამ ნააღრევად გამომდგარი საქართველოს პირობებთან შეფარდებით. ეს სტამბა დააღმინა აღრე მოიშალა და ირაკლი II იძულე-

ბული იყო მეთვრამეტე საუკუნის შეუკუთხებელად აღედგინა ის.

შესაძლებელია გასაოცრად გვეჩვენოს, რომ წიგნის პირველი მბეჭდავი კაცი საქართველოში უგრო - ვალახელი, ანუ ტრანსილვანელი ოსტატი იყო, ვლახეთის გოსპოდარის ბრანკოვანის მიერ ვახტანგისადმი გამოგზავნილი (ეს ბრანკოვანი შორეული ნათესავი უნდა იყოს ფრანგი პოეტი ქალის, მაგრამ რუმინული ჩამომავლობის კონტეს დე ნოაისა), მაგრამ ეს ნობათი უფრო საპასუხო თავაზა იყო, ან უფრო სწორედ, მხოლოდ ვალის ნაწილობრივი გადახდა საქართველოსათვის. ეს დასახელებული ოსტატი, მიქაელ იშტვანოვიჩი, თავისდაკვალად, რუმინიის ისტორიაში იმ ცნობილ ვლახეთის არქიეპისკოპოზის, ანთომოზ ივერის (ივერიანულის) შეგირდი იყო, რომელიც ჩამომავლობით ქართველი იყო და დიდი სპეციალისტი სწორედ წიგნების ბეჭდვის საქმეში აღმოჩნდა. ანთომოზ ივერი წიგნებს აღმოსავლეთის ქრისტიან - არაბებისათვისაც ბეჭდავდა. არაბული ასოებით წიგნის ბეჭდვა, რომელსაც თვითვე აყალიბებდა, ანთომოზის კანაკუთრებულ დამსახურებადაც კი ითვლება. ამიტომ მასვე ეკუთვნის, მის მიერ გაწრთვნილ ოსტატებთან და ვახტანგთან ერთად, ტფილისში, 1709 წელს პირველად დაბეჭდილ ქართულ სახარების უპრიანიც.

1712 წელს, ამ სტამბამ რუსთაველის ვეფხის ტყაოსანიც დაპერდა. პოემის გამოცემა ვახტანგის პირადი საქმე იყო, ამასთანავე ფრიად მნიშვნელოვანიც. ამით ვახტანგმა უჩვენა ქართველებს, რომ სტამბის დანიშნულება იყო არა მარტო ეკლესიის სამსახური, არამედ თავი სუფალ საერო განათლებისაც. ამის წყალობით დაცულ იქმნა პოემის ის კარგი ტექსტი. რომლითაც ვახტანგმა და ამ გამოცემის რედაქტორებმა ისარგებლეს. ეს ტექსტი დღემ-



დის ძირეულ ტექსტად ითვლება და სახელოვანი პოემის ყველა მერმინდელი გამომცემელი — მათი სია კი მხოლოდ მატულობს — იძულებულია, ყველაზედ მეტი ანგარიში სწორედ ამ ტექსტს გაუწიოს, იმისდა მიუხედავად: რომ ხელნაწერების სხვა უფრო ძველი რედაქციები არსებობენ.

მაგრამ ქართულ მწერლობის ისტორიას ვახტანგი ეკუთვნის არა მარტო ვით მისი მთავარი ძეგლის გამომცემელი, არამედ, როგორც ისეთი ცნობილი სპარსული წიგნის მთარგმნელიც, სხვებთან ერთად, როგორც ქილილა და დამანა არის, არაკებისა და ამბავთა საერთაშორისო მნიშვნელობის განთქმული ჰინდოთ თხზულება. ამის გარდა ვახტანგი თვით იყო ქართველი პოეტი.

შეიძლება ვიკითხოთ: ვახტანგის ასეთი პირადი გატაცება სამწერლო შრომებით, გადამეტებული ხომ არ იყო ისეთი კაცისათვის, რომლის მთავარი დანიშნულება მართებლობა და მოქმედება უნდა ყოფილიყო, მეტადრე საბედისწერო დამანგრევ ძალთა ახლო მეზობლობის გამო და განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა კავკასიის მოსამზღვრე დიდ სახელმწიფო პოლიტიკა ასე მერყევი იყო?

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე, იმ ნაყოფის გამო, რომელიც მას მარტო ერთ საქართველოს მეცნიერულ ისტორიისათვის არა ჰქონია მომავალში, არამედ საქართველოს ეროვნულ შეგნების ვალვივებისათვისაც, ვახტანგის სხვა ლვაწლიც — ძველ ქართულ ქრონიკების აღნუსხვა და ზოგჯერ დალაგებაც, ხოლო შემდეგ მათი კომპილატივური გაგრძელების შედგენაც მეჩვიდმეტე საუკუნემდის. მართალი რომ ითქვას, ისტორიულ ძეგლების ის კრებული, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ სახელით არის ცნობილი, ვახტანგზედ გაცილებით ადრე არსებობდა. მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო, რომელთ შესახებ ლაპარაკი აქ მეტი


იქნებოდა, საქართველოს გარეშე ზოგ წლეუბში ისეთი უშნო წეხედულება წარმოიშვა, შემდეგ ცრუმორწმუნოებადაც გადაქცეული, თითქო ვახტანგის დროს თვით ეს ნაკრეფი ქართული ქრონიკა შეედგინოთ.

ამრიგად, ამნაირის თვალსაზრისით, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ვახტანგი იყო არა მარტო თავისი ქვეყნის კანონებისა და ადმინისტრატიული გარიგების კოდიფიკატორი, არამედ წარსულისაგან ნაანდერძევ ისტორიულ ძეგლების მომწესრიგებელიც.

მოსახსენებელია აგრეთვე ვახტანგის მიერ სპარსულითვან ნათარგმნი თხზულებანი ასტრონომიისა და კოსმოგრაფიის დარგში (სახელ განთქმულ თიმურიდის ულულ - ბეგის მე - 15 საუკუნის ტრაქტატი და სხვა). 1721 წელს ტფილისში დაბეჭდილ კოსმოგრაფიის წინასიტყვაობაში ქართლის მეფე ლაპარაკობს საქართველოს არა ერთხელ დარბევის ამბავზედ მასში მეცნიერული აზროვნების დაცემის შესახებ და თავის სურვილზედ, რომ ქართულს ენაზედ „ფილასოფოსობის“ აღდგენას ხელი შეუწყოს.

განსაკუთრებული ენერგია, რომელიც ვახტანგმა სხვა და სხვა დარგში გამოიჩინა, კაი ხანია საბაპი შეიქმნა, რომ მისი მოქმედება პეტრე დიდის მოღვაწეობასთან დაედარებინათ (ბუტკოვი). გასაოცარი არ უნდა იყოს, რომ რუსეთის განმააღლებელის რეფორმატორულ მოღვაწეობას ვახტანგზედაც მოეხდინა შთაბეჭდილება. რუსეთში სცხოვრობდა მაშინ და ამ ახალ ვითარების მოწმე იყო მისი ღვიძლი ბიძა და დიდად დახელოვნებული მგოსანი — არჩილ მეფე, თავის დროზედ იმერეთისა და კახეთის სამეფო ტახტებზედ აღვილად და ხშირადბედ-ნაცვალი და ბოლოს მოსკოვში გასახლებული.

ამ არჩილის ძე — ალექსანდრე, ვახტანგის ბიძაშვილი, ხოლო მართლა პირდაპირ პეტრე



დიდი თანამოსაგრე იყო, თუმცა არცა თუ დიდი თავდარაგის კაცი. ის იყო რუსეთის პირველი „ფელდჰერეისტერი“, არტილერიის უმფროსი და ამ არტილერიასთან ერთად 1700 წელს, ნარკაში, შვედებს ტყვედ ჩაუვარდა და იქვე ტყვეობაში გარდაიცვალა.

მაგრამ ასეთი კავშირების მიუხედავად, რუსეთში მომხდარ ძველ წესების ლრმა ცვლილებას, კავკასიონის ქედის სამხრეთით გამოძახილი არაფერი მოჰყოლია და ამის უბრალო მგონიაობაც კი ხალასი გაუგებრობა არის. თუნდა მარტო იმიტომაც, რომ თვით ვახტანგი არაფრის განმაახლებელი არა ყოფილა. მან უფრო ჯამი შეუდგინა, შეამტკიცა ან აღადგინა ის, რაც უკვე წინად იყო მიღწეული. ისე კი მისი იდეალი უფრო წარსული იყო, ე. ი. ძველი საქართველოს სამეფო, რომელიც ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთური და ქრისტიანული იყო. იმის ცოდნისა და განათლების ერთად ერთი ხელმისაწვდომი წყარო ეს ქრისტიანული და ისლამური აღმოსავლეთი იყო ეს ცოდნა ენატრებოდა მას თავის ქვეყნისათვის, მაგრამ ცოდნა უკვე შეჩერებული და სიტყვა - შეუბრუნებელი თავის თითქოს გამვავებულ სახით.

სპარსეთთან და სეფე ბიდების ისპაპანთან მას საუკუნო ტრადიცია აკავშირებდა, იმ დინასტიის საუკუნოები ანგარიშიანობა, რომლის ნაშენი ის იყო. აშორებდა კი, მეორე მხრით, ის სათაკილო აუცილებლობა, რომელიც აიძულებდა მას, რომ, ირანის ბატონთა და მუზმუზელათა გულის მოსაგებად, ქრისტიანობაზედ ხელი აეღია და შიიტი - მუსულმანი გამხდარიყო. სეფეიდების დინასტია ამ დროს საკმაოდ ფერ - ნაკრავი იყო; მაგრამ იგი ჯერ კიდევ ახლო საფრთხობელა იყო და მეფეს სინამდვილედ უჩვენებოდა. როგორც სხვები, ვახტანგიც იძულებული შეიქმნა, დიდი სიკერპისა და შინაგანი ბრძოლის შემდეგ (გვვ-

ნია, მეფის ბუნებაში ჰამლეტური გუნებაც ერია) დროებით და გარეგნულად ქრისტიანობას განდგომოდა და ჰუსეინ - ყული - ხანის სახელი მიეღო. ამასთანავე ირანის ჯარების მთვარ - სარდლადაც იწოდებოდა, ისევე, როგორც მასზედ უწინ იწოდებოდა იმისი ბიძა გიორგი, მუსულმანობაში შაჰ - ნავაზად და გურგენ - ხანად სახელ დარქმეული, შემდეგ კი ირანის სანაპირო აჯანყებულ ავლანისტანში წარგზავნილი და 1709 წელს იქ დაღუპული.

თუ რა ხერხით დაეღწია თავი მოჯადოებულ წრისათვის, როგორ უზრუნველ ეყო თავის მეფურ პატივის უპირატესობანი, ხოლო თავის ქვეყნისათვის მშვიდობიანობა და განათლება, ისე რომ ამას უცხო ქვეყნის ბატონობასთან ერთად უცხო რჯულიც არ მოჰყოლოდა — გადაუჭრელ საკითხად სჩანდა. დიდი ლიტერატორის და მეცნიერ სულხან (ბერიბაში — საბა) ორბელიანის ცნობილმა ელჩიობამ ევროპაში, 1713 — 1714 წლებში, მხოლოდ დაადასტურა ეს შთაბეჭდილება.

უფრო საფუძვლიანი იმედის აღმძვრელი უნდა ყოფილიყო, როგორცა სჩანდა, პეტრე დიდის ლაშქრობა სპარსეთზედ 1722 წ. მაგრამ ეს იმედიც მაღე გაცრუვდა. მიწერ - მოწერისა და მოლაპარაკების საშუალებით, მიჩნეულ იქმნა, რომ ვახტანგს თავის ქართულ მხედრობით და საზოგადოთ აღგილობრივ ქრისტიანების ძალებით რუსულ საექსპედიციო კორპუსთან ერთად უნდა ემოქმედა და ერთმანეთს შამახაში შეხვედროდნენ. მაგრამ უკვე 1722 წელსავე პეტრე იძულებული შეიქმნა დარუბანდიდგან რუსეთში დაბრუნებულიყო. რუსეთის ჯარის კავკასიის საზღვრებში შემოსევამ, ბაქოს აღებამ, მტკვრის შესართავის, გილანისა და ირანის სხვა კაპიის - პირული აღგილების დაჭერამ ასეთივე ინტერვენცია გამოიწვია; ხოლო ირანის სრული და როგორც მაშინ ეგონათ, ხანგრძლივი მოდუნების მომიზეზებით, ორივე

ინტერვენტმა „კეთილად მიიჩნია“, რომ აღ-
მოსავლეთი კავკასია და თვალში ჩავარდნილი
სპარსეთის სხვა ნაწილები ერთმანეთში დაე-
ყოთ. პირადათ ვახტანგმა იარაღის დაყრა ამ-
ჯობინა. ცოტა ხნ ს შემდეგ მეფე ჩრდილო
კავკასიაში გადიხვეწა, მაგრამ არა მარტო. მან
და მისმა სახლობამ თან გაიყოლია თავადები-
სა, აზნაურთა, სამღვდელოთა და სხვათაგან
შემდგარი მრავალ - რიცხოვანი ამაღა, ერ-
თობლივ ათას კაცზედ მეტი, ზოგის თქმით,
ათას ხუთასი.

საყურადღებოა, რა თქმა უნდა, თავისთა-
ვად, ეს აყრაც ამ ქართველ გახიზნულების
შემდგომი ბედიც რუსეთში. ხოლო ამ საგან-
ზედ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ, ვინაი-
დგან იგი საკმაოდ ცნობილია. მაგრამ საჭიროა
მეტის ყურადღებით შევჩერდეთ იმ გარემოე-
ბაზედ, რომლის წყალობით ამ შესანიშნავ
მმართველისა და ქართველ ბატონის სახელ-
მწიფო მოღვაწეობა ასე ანაზღეულად შეწყ-
და.

სეფებიდების დინასტიის ზედმეტი დასუ-
რება მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოში და მისი
ა. ი. თქმის სრული გახრწნა მეთვრამეტის პირ-
ველ მეოთხედში, პირდაპირი საბაბი შეიქმნა,
რომ რუსეთი სპარსეთისა და კავკასიის საქმე-
ებში ჩარეულიყო, რომელიც ის იყო, შვედე-
ბთან ნიშტადტის ზავის დადების შემდეგ —
1721 წელს, იმპერიად გამოცხადდა. თავისდა-
კვალად, პეტრე პირველის მიერ ოსტატურად
და წინასწარ შემზადებულმა ლაშქრობამ სპა-
რსეთზედ გამოიწვია როგორც უკვე ითქვა,
ოტომანთა იმპარიის ასეთივე „იმპერიალის-
ტური“ ჩარევა. მისი ძლიერება ამ დროს, მარ-
დალია, უკვე შესამჩნევად იხევდა უკან — და
ეს იყო სწორედ მიზეზი, რომ არა ის, არამედ
ასულგაზრდა, ხარბი და მხნე რუსეთის იმპერია
იყო, რომ პირველი ეტაკა „სპარსეთის მემკვი-
დრეობას“. მაგრამ ოსმალეთი მაინც იმდენად
ძლიერი იყო, მისი დროებითი ბატონობა შირ-

კანზედ და თავრიზზედ იმდენად გუშინდელი
ამბავი, ხოლო მისი გავლენა კავკასიაში და
ცანსაკუთრებით დაღესტანი იმდენად მტკი-
ლე. რომ რუსეთს ვერც ის ჩამორჩებოდა. ასე
შეიქმნა გარემოება, რომ სპარსეთის მემკვიდ-
რეობისათვის ოტომანთა და რუსეთის იმპე-
რიებს ომი დაეწყოთ. მაგრამ ომი არა სურდა
არც პეტრეს, რომელმაც, სულ ახლო ხანებში,
პრიუტის ლაშქრობის დროს, 1711 წელს ოსმა-
ლეთის წინააღმდეგ, პოლტავის გამარჯვების
მთელი ნაყოფი კინალამ სულ არ დაჰყარგა და
არც ოსმალეთს, რომელსაც ის იყო, პასსარო-
ვიცის ზავის წყალობით, ავსტრიის იმპერიას-
თან, დაკარგული ჰქონდა არა მარტო ტერი-
ტორიები, არამედ თავისი პრესტიუს ნაწი-
ლიც (1718 წ.). ეხლა დრო მეტად სარფა იყო
მათთვის, რომ თავისუფლად და დაუსჯელად
ჩამოერიგებინათ ერთმანეთში რაც გასაყოფი
იყო. ომის ნაცვლად მათ ირჩიეს, რომ სპარსე-
თის პროვინციები გაენაწილებინათ. აღმოჩე-
ნენ ისეთი სახელმწიფონიც ევროპაში, რო-
მელთათვის ხელსაყრელი იყო, რომ ევროპი-
ულ წონასწორობის დარღვევის თავიდგან ასა-
ცილებლად, რუსეთს და ოსმალეთს ერთმა-
ნეთთან არ ეომნათ. გასაოცარი არ არის ამი-
ტომ, რომ ომის ნაცვლად, რუსეთმა და ოსმა-
ლეთმა დაიყვეს ქურთისტანსა და კასპიის
ზღვის შუა მდებარე სპარსეთის დიდი აღგი-
ლები, რომლის სანაპირონი დაღესტნიდგან
და ასტრაბალამდე, ე. ი. ბაქო, გილანი, მაზან-
დარანი და სხვა, კონსტანტინეპოლიში დადე-
ბულ 23 ივნისს, 1724 წელს ხელშეკრულების
ძალით, რუსეთს ერგო, საფრანგ. ელჩის მა-
რკიზ დე ბონაკის შუა - კაცობის წყალობით,
რომელიც უკვე მაშინ იყო პირადათ საფრან-
გეთ - რუსეთის კავშირის აზრით გატაცებუ-
ლი.

ამ შეთანხმების წყალობით, პეტრემ, არსე-
ბითად, ის ორი ამოცანა გადასჭრა, რომელიც
წინ ედო მას, როცა სპარსეთის სახითათო ლა-

შქრობას აწყობდა, სახელდობრ: უპირველე-
სად და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ხელი
შეეშალა, რომ ოსმალეთი კასპიის ზღვის კავ-
კასიურ ნაპირზედ არ დამკვიდრებულიყო,
განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა ირანი ასე
სუსტი იყო, მეორე, რომ უმთავრესად რუსეთის
რუსულ საალებ-მიმცემო მიზნე — თვის კასპიის
ზღვაზედ, სპარსეთი და ვინ იცის, ინდოეთშიაც.
თითონ ჩაედგა ფეხი. „ინდოეთის ვაჭრობის“
მირაჟი და მისტიკა დიდ როლს თამაშობდა
რუსეთის წაწევის პოლიტიკაში კავკასიაზედ
და შუა აზიაში მთელ მე - 18 - ე საუკუნეში.

აისრულა თავისი საწადელი ოსმალეთმაც.
ჩის ბატონობის ან და გავლენის ფარგალში
მოჰყვა, ისევე, როგორც ეს მე - 16 - ე საუკუ-
ნის ბოლოში იყო, შამახა, განჯა, ერივანი,
თავრიზი, ურმია და სხვა. ეს დემარკაციული
საზი კავკასიის სხეულზედ სრულიად უბოდი-
შოდ გაატარეს. ნამდვილად ეს მოხდა, 1724
წლის შეთანხმების საფუძველზედ, მხოლოდ
1727 წ.

ცოტა დრომ გაიარა და მთელმა ამ ნამა-
ტაოცარმა პოლიტიკურმა ხუხულამ თქვენი
ჭირი წაიღო. მკვდრად მოჩვენებული ირანის
„ლომი“ მოულოდნელად გაცოცხლდა, დაი-
ძახა, ხოლო შემდეგ ერთის თათით რუსეთი
გადააგდო კავკასიის ქედის იქით, მეორეთი
რამდენეთი განდევნა თავის სამფლობელოები-
დგან (ნამდვილი ამბავი უფრო რთული იყო,
მაგრამ საერთოდ საქმე მაინც ასე მოხდა. ორი-
ვე იმპერიამ იქ შეჰყო თავი, სადაც მათი ად-
გილი არ იყო).

შემდეგ იმავე ნადირ-შაჰმა პირი მეორე მხა-
რისაკენ იბრუნა და ქვეყანა ერთი მოულოდ-
ნელობით კიდევ გააოცა: დიდის ხნიდგან გა-
უგონარი თავდასხმით ინდოეთზედ და ოდეს-
ლაც „დიდი“ მოგოლის სატახტო ქალაქის გა-
ცარცვით.

ასე იყო თუ ისე, 1724 წელს, რუსეთმა და
რამდენიმე აღმოსავლეთ კავკასია შუა გაიყ-
ეს. საერთოდ მთელი საქართველო და კერ-

ტოდ ვახტანგის სამეფო — ქართლი — ტავი — მოექცა,
ღირსითურთ ოსმალეთის ფარგალში მოექცა,
თუმცა პეტრეს სპარსულ განზრახვებში მის
ბოკავშირედ ითვლებოდა (ვიმეორებთ, რომ
ეს მოკავშირობა წინასწარ იყო შემზადებული
ზა დიპლომატიურის წესით დამოწმებული).
მაგრამ ამაოდ ფიქრობდნენ მაშინ, რომ ეს
იყო პეტრეს მიერ განზრახ მოწყობილი ვერა-
გობა. როცა მსხვილ პოლიტიკურ ერთეულთა
შექლა - შემოხლაში „მცირე“ ერები და მა-
თი მმართველები, საკუთარ მოსაზრებით და
შისწრაფებით თუ აუცილებლობის მიხედვით
მოქიშეთა შორის არჩევანს ახდენენ და ამა
თუ იმ მხარეზედ დგებიან, სარგებელიცა და
ზარალიც მუდამ მათი ნებაყოფლობის ბრა-
ლია და არასოდეს არ უნდა იყვნენ წინასწარ
დარწმუნებული, რომ მათი ამა თუ იმ ბანა-
კისადმი მიკერძება უსათუოდ მოგებით გათა-
ვდება მათთვის. შეთანხმებას მხედველობაში
აშკარად სახითათო სამხედრო - პოლიტიკუ-
რი განზრახვა აქვს; ეს არ ეწყობა და „მცირე“
ხშირად კარგა წაგებაშია. მაგრამ ეს კიდევ სა-
ბუთი არ არის ვითიქროთ, რომ წამგებიან სა-
ქმეში „დიდის“ მიერ განზრახ იყო ჩატრეუ-
ლი. რუსეთისათვის დიდათ უხეირო პრუტის
ლაშქრობის დროს, 1711 წელს, როდესაც
უდიდესი დამცირებისაგან პეტრემ მხოლოდ
დიდი ვეზირის მოსყიდვით იხსნა თავი, მოლ-
დავიის გოსპოდარი დ. კანტემირი, რომელმაც
ყავარჯენი რუსეთზედ მიაყუდა, იძულებული
იყო ყველაფერი დაეტოვებინა და სწორედ
ისე, როგორც ვახტანგ, 1725 წ. გადასულიყო
რუსეთში და რუსეთის იმპერატორს შეჰტა-
რებოდა, ათასი ქვეშევრდომის თანხლებით,
რომლის უმრავლესობა აზნაურობა იყო. აღ-
სანიშნავია, რომ ეს კანტემირი, აგრეთვე ლი-
ტერატორი, მეცნიერი და აღმოსავლეთ ენების
დიდი მცოდნე, პეტრე პირველს სპარსეთის
ლაშქრობაში თან ახლდა. მან გადათარგმნა
ოსმალურსა და სპარსულ ენებზედ მანიფესტი,
რომელიც ლაშქრობის მიზანს განმარტავდა.

კანტემირის ამბავი ვახტანგსაც ეცოდინებოდა.

პეტრეს არა თუ ოსმალეთთან სამხედრო შეტაკება არა სურდა, არამედ, საფიქრებელია, რომ ეშინოდა კიდევაც. ნამდვილი ომი არცა თუ სპარსეთთან იყო განზრახული, თუმცა იგი სავსებით გატეხილი იყო და თანაც განსაკუთრებით საკუთარის ბრალით, რომ ავლანელები შემოისიეს (ისპაპანი მათ აიღეს ალყისა და შიმშილის შემდეგ 1722 წ.). სეფევიდების იმპერიამ შლა იწყო არა კავკასიური ფრონტიდგან, არამედ თავის ავლანურ ბოლოდგან. გარემოებაც ისე მოეწყო, რომ ვახტანგის დახმარებას ელოდნენ ერთსა და იმავე დროს, როგორც რუსეთის იმპერატორი, რომელიც მზადებაში იყო რომ სპარსეთის კასპისზღვისპირული პროვინციები დაეჭირა, ისე შაჰ ჰუსეინი, უმწეო, რომ ავლანელთა აჯანყება ჩაექრო და მოესპო ის შიში, რომელიც ამ მხრით მის სატახტო ქალაქს ემუქრებოდა.

აღვილი მისახვედრია, როგორც ვახტანგის თანხმობა, აგრეთვე ამ დროს ამოძრავებულ მის მეზობელ ყარაბახელ სომხების სურვილიც, ესარგებლათ შემთხვევით, ე. ი. პეტრე დიდის განზრახვით და მის დახმარებით სპარსეთისგან თავი გაენთავისუფლებინათ. მაგრამ როგორც მაშინდელ რელაციებში სწერდნენ, ქართულ „შლიახტობაში“ ერთსულოვნება არ აღმოჩნდა. თვით ვახტანგის მდგომარეობა კი სავსებით განსაკუთრებული იყო. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ქართულ ეროვნულ მო-

ძრაობის ერთი მეთაურთაგანი, რომელიც ირანის მორჩილებას, რა თქმა უნდა, ვერ ურიგდებოდა. მაგრამ ის იყო მჭიდრო ძაფებით დაკავშირებული იმავე ირანთან, არა მარტო კულტურის დარგში, არამედ იმ პოლიტიკითაც, რომლის ტრადიცია ქართლის ბაგრატიონთა სახლში საუკუნეზედ მეტი არსებობდა (ამის შესახებ იხ. „კავკაზ“-ის ნომრები 35 — 37, 39 — 40). მას ხომ 1714 წლიდგან სახე-

ლად ჰუსეინ - ყული - ხანი ერქვა, და სპარსეთის ჯარების გენერალის სიმუსად იწოდებოდა; იმისი ძმა ლევანი ირანის უმაღლესი მსაჯული იყო მამის ძმა იყო გიორგიც იგივე შაჰ - ნავაზი, ყანდაარისა და სხვა მთელი რიგი პროვინციების გამგე და 1709 წელს თავის პოსტზედ დაღუპული, სახელგანთქმული (თუმცა — რისთვის?) მთელს ირანში და ავლანისტანში, როგორც აგრეთვე, ვახტანგის ძმა იყო ქაიხოსრო — დაღუპული იქვე 1713 წ. იცავდნენ რა სეფევიდების სახელმწიფოს მთლიანობას და უდგნენ რა სათავეში მრავალ - რიცხოვან, მაგრამ ფრიად არა სანდო სპარსულ ჯარებს, ეს ბაგრატიონები არსებითად ემყარებოდნენ იმ მცირე - რიცხოვან, მაგრამ რჩეულ ქართულ რაზმებს, რომლებიც მათ ახლდათ. აი სად იხარჯებოდა და ისიც ასე უნაყოფოდ, ძალა, რომელიც მოწოდებული იყო უცხო საქმე ეკეთებინა. მაგრამ „ქართველები ავლანისტანში მე - 18 - ე საუკუნის პირველ მეოთხედში“ — ცალკე თემაა. ვახტანგის მეორე ძმაც — როსტომ ყულარ ალასი ანუ შაჰის გვარდიის უმფროსი, ისპაპანის ახლო, გულნაბადის ომში დაიღუპა, რომელმაც სატახტო ქალაქის ბედი გადასწყვიტა (8მარტს 1722 წ.). ყოველივე ეს პირწავარდნილი კონდოტიერობა იყო, და, უნდა ვითიქროთ, რომ ვახტანგს, პეტრეს მისაშველებლად განმზადებულს, იმედი უნდა ჰქონდა, რომ ამით ირანის ასეთ მაბეზარ კავშირისაგან თავს იხსნიდა. განრისხებული იყო აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ირანმა აიძულა ლეკების წინააღმდეგ განზრახულ ლაშქრობაზედ 1719 — 1720 წლებში, ხელი აელო.

მაგრამ ამავე საგანს სპარსეთის მთავრობა სხვა თვალსაზრისით უდგებოდა და ვახტანგისაგან ჯარებს ითხოვდა და კიდევაც ელოდა ისპაპანის დასახსნელად, იმ იმედით, რომ მარტო ერთი ამბავიც კი რომ ჯარი წამოსულია, ავლანელებს აიძულებდა ისპაპანზედ ხელი აელოთ და თავის გზას გასდგომოდნენ.

ირანსა და რუსეთის შორის ვახტანგმა არ-ჩევანი ქმნა და ჰუსეინ - ყული - ხანს დახმარებაზედ უარი შეუთვალა (ჯერ კიდევ საკითხავია — შეეძლო მას ეს დახმარება'). მაგრამ ამ დროს სცენაზედ მეორე ბაგრატიონი გამოდის — კახეთის სახლის შვილი, სახელად კონსტანტინე, რიცხვით მეორე, იგივე მაჟმად - ყული - ხანი, და სპარსეთში აღზრდილი (თუმცა იმისი მამა ირაკლი პირველი, ერთდროს მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის აღზრდილი იყო). როგორც მისი სახლის სხვა წევრიც, ისიც ისპაპანის გამგე იყო; 1722 წელს ის კახეთში დაბრუნდა, ხოლო 1723 წლის დასაწყისში (ეს იყო ირანის პასუხი ვახტანგის რუსთვილურ პოლიტიკაზედ) ჰუსეინ - შაჰს მემკვიდრე თახმასპისაგან მან მიიღო ინვესტიტურა, რომ ქართლი ტფილისითურთ დაეჭირა, რაშიაც ლეკების ჯარიც დაეხმარენ. შინიტ - კახ ბაგრატიონის (იმის ძმას, უკეთილმორწმუნეს თეიმურაზს ცოლად ვახტანგის ასული ჰყავდა), ჩარევით გამოწვეული შინაური შეხლა - შემოხლა უფრო გართულდა, როცა ქართლის საზღვარზედ ოსმალოს ჯარი გაჩნდა. ოსმალეთი, ეტყობა, სთავაზობდა ვახტანგს იმანირ ქვეშევრდომის ლირსებას, როგორიც რუმინიის გოსპოდარებს ჰქონდათ და ქართველთა შორის ბევრი იმ აზრის იყო, რომ მეფე დროებით ოსმალეთს „შევრდომოდა“, ვიდრე, ადრე თუ გვიან, პეტრე შემახაში მოვიდოდა. მაგრამ რუსის იმპერატორი დარუბანდიდგან ასტრახანში დაბრუნდა (4 ოქტომბერს). ტფილისში ეს ამბავი დიდის ელდით იქმნა მიღებული და ვახტანგის მდგომარეობა ამან ფრიად შეარყია. ამავე დროს ე. ი. 1722 წლის ბოლოშივე დაიწყო შფოთი კახ - ბატონთან. ამ დროს ქართლსა და კახეთს უშუალოდ მხოლოდ ოსმალები ემუქრებოდნენ. არსებობს კონსტანტინეს და ვახტანგის მოლაპარაკების იმ დროის შემდეგი ოქმი, როცა კონსტანტინეს, ქართლის დაპყრობის ნებართვა უკვე მიღებულ ჰქონდა შაჰ - თახმასპისაგან

1723 წლის დასაწყისში. კონსტანტინე თანახმა იყო, რომ ორივე საერთო მტრის, ე. ი. პატრიშე მთხვევაში ოსმალეთის წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ, სთხოვდა შეხვედრას და ჰპირდებოდა, რომ შაჰის ბრძანებას უკან წაიღებდა. მაგრამ ქართლისა და კახეთის ბატონები ოსტატურად ერთმანეთს წაჰავიდეს, და შეთანხმების ამ ცდიდგან არაფერი გამოვიდა. ამის შემდეგ კონსტანტინემ მართლა აიღო ტფილისი (4 მაისს 1723 წ.), რომელიც ლეკებმა აიკლეს, ვახტანგი კი ცხინვალს ავიდა, სამხრეთ ოსეთის დღევანდელ სტალინირში.

ქართველების ასეთ დაქსაქსულობაში და აზრის დაფანტულობაში, რომელიც გამოწვეული იყო, როგორც რუსული ორიენტაციის გაცრუებით და შინაურ შეხლა - შემოხლით, ისე ვახტანგის მერყეობით, რომელმაც არ იცოდა რა გზას დასდგომოდა, ბრძოლას ოსმალებთან, შეთანხმებას მათთან, თუ დროებით საქართველოდგან გაცლას, — კონსტანტინეს, რა თქმა უნდა, ძალა აღარ შესწევდა, ოსმალებთან ებრძოლა. 10 ივნისს 1723 წელს მან ტფილისი ოსმალებს ჩააბარა და თითონ კახეთში წავიდა (მერე, 1729 წელს ოსმალებმა მოჰკლეს იგი). თუმცა ვახტანგი არა, მაგრამ ჯერ მისი ძე ბაქარი, ეხლა იბრაჰიმ - ფაშად გადარქმეული, ხოლო შემდეგ ვახტანგის ძმა იესე, დროებით მუსტაფა - ფაშად ქცეული (ეს იყო რუსეთის ჯარში ნამსახურ სახელგანთქმულ გენერალ თავ. პ. ბაგრატიონის პირდაპირი წინაპარი) შეუდგნენ ოსმალეთის სამხედრო უფროსებთან „თანამშრომლობას“.

1724 წლის აგვისტოს ბოლოში, ვახტანგი, რომელმაც ამაზედ წინ საქართველო დასტოვა და ერთი ხანი სტუმრად ყაბარდოში დაჰყო, დიდის ამალით — თუმცა ამას ამალა აღარ ეთქმის, რდაგან ეს იყო ემიგრანტების მთელი ტალღა, რიცხვით ათას კაცზედ მეტი, ქოისუს ნაპირზედ წმ. ჯვარის სიმაგრეში გაჩნდა. 1725 წელს ის უკვე რუსეთში იყო.

მთელ ამ კრიზისის განმავლობაში, დიდი მეთაურის და მხედართმთავარის ლირსება, მართალი რომ ითქვას, ვახტანგს არ გამოუჩენია. 1722 წელს მის ხელქვეით საკმაო ჯარი იყო, მათ შორის ყარაბახის სომეხთაგან მოყვანილი რაზმებიც, რომლებსაც რუსებთან საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ ვახტანგმა, არსებითად ვერაფერი ვერ იღონა და ვერაფერს ვერ მიაღწია. მაგრამ ჩვენ ვერ შევეხებით აქ ამ არევ - დარეულ საქმის ყველა წვრილმანს. მხოლოდ გზა და გზა შევნიშნავთ, რომ თავის თავად სომხების ეს ამხედრება დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო, როგორც მათი პოლიტიკური გამოლვიძების მაჩვენებელი. ჯერ კიდევ ასი წლით ამაზედ უწინ (იხილეთ „კავკაზი“, ნომერი 40) განდასარის სომეხთა ქათალიკოსი ოცნებობდა ასეთ ქართველ - სომეხთა გალაშქრებაზედ თავრიზზედ თიემურაზ პირველის მეთაურობით, რათა ქრისტიანები სპარსეთის ულლისაგან განთავისუფლებულიყვნენ. ეხლა, 1722 წელს, ეს ოცნება ახდა, ესე იგი, ვახტანგის ხელ ქვეით ქართველობასთან ერთად სომხობამაც მოიყარა თავი, მაგრამ აქედან ცოტა რამე გამოვიდა. რა თქმა უნდა, დიდი თანხმობა არც სომეხთა შორის იყო, რაც ერთი მხრით, ვახტანგ - კონსტანტინეს დავაზედაც იყო დამოკიდებული. 1722 წლის ბოლოში სომხის დიპლომატი ვართაპეტ მინასი ატყობინებდა, მაგალითად, პეტრეს: „კახთ - ბატონმა თავისით ვალარშაპეტში თავისი რაზმი გაგზავნა და პატრიარქი (ეს იყო ეჩმიაძინის ქათალიკოსი ასტვაცატური) დაიჭირა, შვიდი ათასი რუბლი ჯარიმა აართვა“. დეპეშაში განმარტებულია, რომ მაპმად - ყული - ხანი ერევნის მაზრასაც ფლობდა და რომ მისი რისხვის მიზეზი ასეთი იყო: „რატომ შენ შენ სომხებს არ დასჯიო“ და პატრიარქმა უპასუხა მაპმად - ყული - ხანს, რომ ჯარი (ე. ი. ყარაბახელ სომხების) ჩემის ძალისანი (ე. ი. იურისდიკციის) არ არიანო და მე ყურს არ მიგდებენო, რომ მათ საკუთარი პატრიარ-

ქი (განდასარის პატრიარქი — ისაგა) ჰქონდა. შემდეგ ნათქვამია, რომ კახ - ბატონს ვახტანგისათვის (რომელიც გზა და გზა შექებულია) თავისი ძმა გაუგზავნია (რა თქმა უნდა თეომურაზი, ვახტანგის სიძე) და „სანდო კაცები“ შერიგების მოსახდენად და გამოთქმულია იმედი, რომ ქართველი ბატონები მორიგდებიანო. როგორც ცნობილია, ეს იმედი არ გამართლდა.

ამაზედ ცოტა გვიან, ყარაბახის მელიქები, ურთიერთ შორის უთანხმოების გამო, უძლურები აღმოჩნდნენ, რომ ცნობილ ფანა - ხან ჯევანშირის გამძლავრებისათვის მაინც ხელი შეეშალათ. ფანა - ხანი მშვიდათ მოაჯდა ზერგზედ მათ, როგორც ყარაბახის ხანი და მათი მნიშვნელობის ნამდვილი ზომა მხარეში საკმაოდ გამოჩნდა.

ამ არეულ - დარეულ ვითარებაში დიდ როლს თამაშობდნენ დალესტნელებიც — კაზიკუმუხის ბატონი სურხაი, დაუდ - ბეგი — ლეკების ბელადი, ჩამომავლობით უბრალო გლეხი მუშკურიდგან, დარუბანდის თლქში (რომლის მიერ შამახის აკლება 1719 — 1721 წლ. და რუს ვაჭრების გაცარცვა საბაბიც კი შეიქმნა, რომ პეტრეს სპარსეთზე ლაშქრობა გადეწყვიტა) და აგრეთვე შამხალი ადილგირეი. ეს უკნასკნელი აშკარად ირანის მომხრე იყო — შაჰ ჰუსეინის პირველი ვეზირი, ჩამომავლობით ლეკი, ფეტ - ალი, ნათესავად ხვდებოდა; ორი პირველთაგანი მოლაპარაკებას აწარმოებდა, როგორც ირანის დახმარების შესახებ ავლანელთა წინააღმდეგ, ისე რუსეთის ლაშქარის დახმარებაზედ სპარსეთის წინააღმდეგ. ნამდვილად კი ყველაფერს შამახის და საზოგადოთ შირვანის დავლა არჩიეს, თუმცა შავი დღისთვის ოსმალეთის მომხრენიც იყვნენ. პორტაც ყოველნაირად უჭერდა მხარს, ჯერ დაუდ - ბეგი დაადგინა ხანად შირვანში, შემდეგ — სურხაი. ამ პორტას მთავარი მიზანი შირვანის დამორჩილება იყო, და

როცა, მკითხველისათვის უკვე ცნობილ, 1724 წლის შეთანხმებას აწერდა ხელს, თურქებს ალბალ იმედი ჰქონდათ, რომ შემდეგ კასპიის ზღვამდისაც მიაღწევდნენ, რუსების დარუბანდიდგან და ბაქოდგან გარეკით, სწორედ ისე, როგორც რუსეთსაც შეეძლო ეანგარიშა, რომ „მეორე ჯერზედ“ ოსმალებს დაახევინებდა უკან ქართველებისა და სომხების დახმარებით. ნამდვილად კი ვერც ერთმა მხარემ მეორე ვერ გააძევა, ხოლო სულ მალე ორივე გაძევებულ იქმნა, როგორც მკითხველმა იცის, იმავე ირანის მიერ შაჰ - ნადირის დროს.

შემდეგ, როცა რეშტის ტრაქტატის ძალით, 1732 წელს, ამდენი მსხვერპლით დაჭერილი კასპიის ზღვის სამხრეთის პროვინციები მტკვრის შესართავამდე, რუსეთმა სპარსეთს უკან დაუთმო, მოხსენებული იყო (მუხლი 8), რომ „ვინაიდგან სწორად ერთგული მ. ი. უ. (ესე იგი იმპერატრიცა ანნა იოანოვნასი) და შაჰის დიდებულებისა, მეფე ვახტანგ ქართლისა მოკლებულია თავის სამკვიდროს“, ამიტომ ძველი ვითარების აღდგენისათანავე, შაჰი პირობას იძლევა, ალადგინოს ვახტანგი თავის პირველად ყოფილ მდგომარეობაშით. მაგრამ ეს პირობა, განჯის ტრაქტატითაც დამოწმებული 1735 წელს, რომლითაც სპარსეთს დარუბანდი და ბაქო უკან უბრუნდებოდა, განუხორციელებელი დარჩა. ნადირ - შაჰის ამაღლებით ირანში, საქართველოში წინ ახალი პირები წამოდგნენ. პეტრეს სპარსეთზედ

გალაშქრებას გაგრძელება აღარა ჰქონია და ნება იმიტომ, რომ 28 იანვარს 1725 წელს, დროზედ ადრე მიიცვალა, ხოლო ნადირ - შაჰის ბრძოლაში ირანის სახელმწიფოს აღდგენისათვის, მონაწილეობა კახეთის შტოს ბაგრატიონებმა მიიღეს, რამაც შემდეგში შესაძლებლობა მისცა მათ, ჯერ კიდევ ბევრი წელიწადი ბრწყინვალეთ ებატონათ აღმოსავლეთ საქართველოში. ვახტანგის შვილიშვილი დედით, ირაკლი მეორე იყო ის პირი, რომელიც შეიქმნა მისი საქმის ნამდვილი გამგრძელებელი.

ვახტანგი მიიცვალა რუსეთში დამსხვრეულის იმედებით. დროს მიხედვით, ის იყო წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის ერთი პირველ კავალერთაგანი, მაგრამ ეს ვერ გაუწევდა ყარაიას ველებზედ ტურფა ნადირობის მაგიერობას, როგორც ვერ გაუწევდა ტფილისის მაგიერობას მოსკოვის ვსესვიატსკაია, ან ნიუეგოროდის გუბერნიის ლისკოვო, კოჯორზედ საზაფხულო სასახლეს.

მისი პოლიტიკური მარცხები დავიწყებულია, დახსომებულია მისი დიდი შრომანი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ის მჭიდროთ და სამუდამოდ შევიდა ისტორიაში, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე და საქართველოსათვის მბრძოლავი და როგორც დიდი მოვლენა კავკასიის ცხოვრებაში, მე - 18-ე საუკუნის პირველ მეოთხედში.

ზ. ავალიშვილი

ილიას დღეები საქართველოში

I.

წელს ქართველი ერი დღესასწაულობს თავის დიდებულ შვილის, ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლის თავს. ამ ეროვნული დღესასწაულის პირველი საჯარო ზეიმი, ტფილისში, ამა წლის 29 მაისს მოხდა. აქტი მოეწყო ტფილისის საოპერო თეატრში და ამ დღის „კომუნისტი“ მთლიანად ილიასადმი მიძლვნილი გამოვიდა. შიგ მოთავსებულია ილიას სურათები და პოეტის ფაქსიმილეთი შთელი მისი ლექსი „ტყემ მოისხა ფოთოლი“ არის დაბეჭდილი. დაბეჭდილია აგრეთვე ადგილები მისი ლექსებიდგან და „მგზავრის წერილები“-დგან. ამის გარდა მეთაური და მთელი გაზეთი ილიას შესახები წერილებით და დღესასწაულის ქრონიკით არის სავსე.

ილია აღდგა და ამიტომ ეს დღე დიდი ქართული დღეა!

ილია — უდიდესი ქართველი პოეტი, რომანისტი, მოაზროვნე და მოლვაწე, ილია — ქართველი ერის დიდი და ბრწყინვალე მეთაური იმ ხანაში, როცა მისი აწმყო და მომავალი ბეჭვზედ ეკიდა, ილია — ქართველი ერის გამომლვიძებელი, აღმზრდელი, განმანათლებელი და ეროვნულ ბრძოლისათვის დამრაზმავი, მაგრამ მოწამებრივად მოკლული და ვითომ სახელ-გაუქმებული, საფლავიდგან აღდგა და ეუბნება ქართველ ერს:

„მარად და ყველგან, საქართველოვ,
მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი
სული!“
„აჩრდილი“.

ჭეშმარიტ, ისტორიულ, ეროვნულ და კულ-

ტურულ საქართველოსათვის ილია მკვდარი არასოდეს არ იყო და მას მუდამ აღიდებდა. იმისი განუზომელი და დიადი მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში — არ ესმოდათ, ეპრიტონენ, სდევნიდნენ და კიდევაც მოჰკლეს, მხოლოდ ქართველი ერის კულტურულად ჩამორჩენილმა ფენებმა. მაგრამ ეს იყო ქართველობის სწორედ ის შეუგნებელი და გადაგვარებული ნაწილი, რომელიც თვით ქართულ ეროვნულ იდეასაც ებრძოდა. ამის გამო ვაუაჯშაველამ უკვდავი და წინასწარმეტყველური სიტყვები სთქვა. მან სთქვა: — „ილია მოჰკლა ჯალხმა, რომელიც, რომ შეეძლოს, თვით საქართველოსაც მოჰკლავდაო!“. ესეც აღსრულდა!...

მაგრამ დღეს ქართველ ერში მხოლოდ ეს ეროვნული იდეა იბრძვის და სრულიად ბუნებრივა, რომ ბრძოლის ამნაირ ატმოსფეროში ყველაზედ დიდი, ყველაზედ ბუმბერაზი ფიგურა ილია ჭავჭავაძეა. სრულიად კანონიერია აგრეთვე, რომ ყველაზედ ბრწყინვალე ქართული სახელი დღეს ილიას სახელია. სრული კეშმარიტებაა აგრეთვე, რომ ამ ბრძოლის საძრევლის ჩამყრელი და თვით ბრძოლის გამჩაღებელი და შთამაგონებელი დღემდის — გიცე ილია არის.

აა პირობებიშაც არ უნდა ხდებოდეს, როგორც ეს ბრძოლა, აგრეთვე თვით ილიას ხსოვნის ზეიძი, ის მაინც დიდი და ნამდვილი ეროვნული დღე, ეროვნული ზეიმია. მის ბრწყინვალებას და ქართველ იერის აღფრთოვანებას ცერ დაჩრდილავს ვერც რუსული ბოლშევიზმა, ვერც რუსეთის ულელი. ილიას იდეები ცოცხალის არიან, მხოლოდ ისინი იბრძვაან

ქართველ ერში და გამარჯვებაც მათ უწერიათ.

ჩვენ დღდ ყურადღებას ვაქცევთ ყოველივე იმას, რაც დღეს ილიაზედ საქართველოში აწერება და ითქმება და სრულიად ბუნებრივად გცსურს, რომ ქართველმა გაღმოხვეწილმა, რომელიც საქართველოს გაზეთებს ხშირად ვერ კითხულობს, ყოველივე ეს იცოდეს.

ფარსმან - ფარუხი

მოგვყავს გაზეც „კომუნისტის“ მეთაური და სხვა წერილებას ზოგი ადგილი:

„შესრულდა ასი წელი ქართველი ხალხის სამაკო შეიღოს — ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძის დაბადებიდან. საბჭოთა საქართველო ამ თარიღს აღნიშნავს სახალხო იუბილეთი. თავისი სახელოვანი ცხოვრებითა და მოღვაწეობა: ილიამ სავსებით მოიპოვა ამის უფლება. ილია ქართველი ხალხის სიბრძნეა, ქართული ლიტერატურის მშვენება, ქართული კულტურის სიამაყე. ილია უბრწყინვალესი პიროვნებაა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. „მე - 19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ - რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულიარული საზოგადო მოღვაწე“ („პრავდა“) — ილია ჭავჭავაძე პირველად პოულობს ლირსეულ დაფასებას ჩვენს დროში — სტალინური ეპოქის ბრწყინვალე პირობებში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა პირველად ხდება მშრომელი ხალხის ნამდვილ კუთვნილებად.

ილია სიცოცხლეში ვერ ელრსა ჯეროვან დაფასებას. დაფასებისა და იუბილეს მაგიერ მეფის მთავრობამ მას მუხანათურად გაუგმირა გული. ეხლა უკვე დადასტურებულია, რომ ილია მოჰკლეს მეფის ჯალათებმა. ილიას სიცოცხლეშივე განზრახული იუბილე მეფის მოხელეებმა ჩაშალეს იმის შიშით, რომ ის არ გადაქცეულიყო სახალხო ზეიმად, ცარიზმის საწინააღმდეგო ნაციონალურ - რევოლუციური მოძრაობის დემონსტრაციად.

ილიას ავაზაკური მკვლელობა შმოაწყობია იმავე რეაქციულმა ძალამ, რომელმაც რუს ხალხს მოუკლა გენიალური პუშკინი და მრავალი სხვა საუკეთესო შვილი.

ილია იყო ქართველი ერის დიდი მოამაგე, ვაჟაფშაველას თქმისა არ იყოს, მისი დიდი ბურჯი, ჭური, ნიჭითა და გამოცდილებით თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული აზროვნების ფიქრობეჭყრობელი. იგი უნივერსალური ცოდნის ადამიანი იყო. დიდ მხატვრულ ნიჭითან ერთად ის აერთებდა დიდ პუბლიკისტს, პოლიტიკოსს, ეკონომისტს, ისტორიკოსს და სხვა და სხვა.

ილია, როგორც ნამდვილი ბრძენი, ერკვეოდა მთელი ბაშინდელი ეპოქის სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობათა ურთულეს ვითარებაში. ამისი დამამტკიცებელია ილიას მხატვრული შემოქმედება, მისი პუბლიკისტიკა, მისი წერილები უცხოეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე, მისი ეკონომიური, ისტორიული ხასიათის შრომები და მიმოხილვები საქართველოს ცხოვრებიდან.

მაგრამ, რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძე იყო დიდი პროგრესიული პიროვნება, რომელსაც თავისი მოღვაწეობის ყველა სფეროში შეჰქონდა პროგრესიულ - რაღიკალური აზროვნება. ამ მხრივ იგი იყო ნამდვილი შვილი სამოციანი წლების იმ დიდი იდეური რევოლუციურ - დემოკრატიული მოძრაობისა, რომელსაც რუსეთში მეთაურობდნენ ბელინსკი, ჩერნიშევსკი. ილია აღიზარდა რუსეთის მოწინავე რაღიკალურ აზროვნებაზე. ამ მოძრაობის ზეგავლენით ჩამოყალიბდა ილიას ლიტერატურულ - პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან ბრნვალე განაღდება მისცა. ამ განაღდების შესანიშნავი დოკუმენტია ილიას მხატვრული ქმნილებები: „მგზავრის წერილები“, „კაკო ყაჩალი“, „აჩრდილი“, „კაცია აღამიანი“ და მხატ-

ვრული შემოქმედების ის სხვა შედევრები, რომელნიც ჩვენი მწერლობის ფონდში შესულია როგორც უძვირფასესი განძი.

„ილია პირველი იყო, რომელმაც მოითხოვა ქართულ მწერლობაში ენის დემოკრატიზაცია, მისი გახალხურება, — „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთა თეორეტიკა“. მანვე მოითხოვა ხალხის ჭირვარამის უგულებელმყოფელი მწერლობის განდევნა და ხალხის ცხოვრების სინამდვილის ჩვენება — „ლიტერატურა — ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“. მან ამ კონცეპციით საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურის ახალ მძღვრ მიმართულებას — კრიტიკულ რეალიზმს.

„ილია ჭავჭავაძემ თავისი რეალიზმით, რეალისტური ხელოვნების თვალსაზრისით დაუახლოვა ერთმანეთს მწერლობა და ცხოვრება. მან მწერლობა ხალხის ინტერესებისათვის საბრძოლველ იარაღად აქცია. გამოაცხადა იგი ცხოვრების სარკედ, რომლის დანიშნულება უნდა ყოფილიყო ერის წინამძღოლობა, ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლა.

„ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც სცდილობენ ჩვენი ცხოვრების სიბოროტის დამალვას“, — სწერდა ილია და თვითონ — მოჰკიდა ხელი მაშინდელ შავბნელი ცხოვრების სიბოროტის გამომულავნებას. ამ სიბოროტეს ილია ხედავდა მაშინდელ საქართველოს ბატონიშვილ ურთიერთობის არსებობაში და თეოტემპურობელობის იმ კოლონიურ პოლიტიკაში, რომლის შედეგი მთელი თავისი სიმძიმეთ მშრომელ ხალხს აწვებოდა. ილია ნათლედ ხედავდა, რომ თავადაზნაურობა გაიხსნა. იგი ისტორიის მუხრუჭად გადაიტანა შეცვალა თვითმპურობელობის რეჟიმს და ვაძლიერა მშრომელი ხალხის ექსპლოუტაციას. მან სასტრუცტო ტრძოლა გამოუცხადა როგორც

პატონიშვილის რეჟიმს, ისე თვითმპურობას, რაც ნაციონალურ პოლიტიკას. ვის უნდა დაურდინობოდა მ ბრძოლაში ილია? იგი ასეთ რეალურ ძალად მშრომელ ხალხს სთვლილა. „უცრალი გლეხობა — ეს უმრავლესობა ქართველებისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“, — სწერდა ილია გლეხობის შესახებ.

„„მგზავრის წერილებ“-შიაც სწორედ უბრალო მოხევე აამეტყველა ილიამ, მას ათქმევინა: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო“. ილია გაბედულად გამოდის გლეხობის დასაცავად, გლეხების მიერ ბატონების წინააღმდეგ სტიქიური ბრძოლების მოსარჩევედ. ამ გამოსარჩევების დოკუმენტია ილიას უბრწყინვალესი პოემა „კაკო ყაჩალი“, რომელიც ბატონების წინააღმდეგ მებრძოლი გლეხების გამართლებაა. „თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფიაო“, ამბობს ილია.

ილია ჩვენში ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც საგლეხო რეფორმა შეაფასა იმ გვარად როგორც რუსეთში ნ. ჩერნიშევსკიმ. ილიამ ეს რეფორმა „გლეხების შიმშილით მოკვლის“ რეფორმად გამოაცხადა და მოითხოვა გლეხებისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემა.

ილიამ მძღვრი პიმნი უმღერა „შრომის სუფევას“. იგი სოციალური ჩაგვრის მოწინააღმდეგება, თავისუფალი შრომისა და „სიმართლის ხმის“ გამარჯვების მომხრე. ილიას სწამდა, რომ მოვიდოდა ისეთი დრო, როცა ექსპლოატაციის საფუძვლებზე დამყარებული ძველი ცხოვრება ვეღარ გაუძლებდა „განახლებისა გრიგალის ჭროლვას“. ილიას სძულდა ხალხის მჩაგვრელი მტარვალები, ამიტომ იყო; რომ ასე შერისხა მან პარიზის კომუნის ჯალათები და კომუნის დამარცხება ჩასთვალა ისტორიის შეფერხებად. ამიტომ იყო, რომ ილიამ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში გაილაშვრა სიკვდილით დასჯის კანონის შემო-

ლების წინააღმდეგ, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ამ კანონს თვითმპყრობელობა გამოიყენებდა რევოლუციისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ.

„ილია იტალიის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის ჯ. გარიბალდის დიდი თაყვანისმცემელი იყო. გარიბალდის ბრძოლების ზეგავლენით დასწერა მან: „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“ და მონობის ეს დასათრგუნველი ხმა საკუთარ სამშობლოსათვისაც ინატრა. ილია ჰემობდა წარსულ დროებაზე დარდს და ხალხის მომავალზე ფიქრობდა.

„ილია ჭავჭავაძეს სიკვდილამდე შერჩა ძველი ცხოვრების გარდაქმნისა და განახლების რწმენა, მაშინაც კი, როცა უკვე მოხუცი სწერდა თავის შესანიშნავ პუბლიცისტურ წერილს „მეცხრამეტე საუკუნეს“, სადაც ლაპარაკია ლარიბთა ახალი სოციალური მოძღვრების ზრდაზე და მიღწევებზე.

„ილია ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობა ჩვენი თავისუფალი ხალხის კუთვნილებაა. იგი თავისი პროგრესიული მხატვრული ნაწარმოებებით და მათში მოცემული მხატვრული სახეებითა და იღებით უწყობდა ხელს ისტორიის ახალი „გრიგალის ქროლვას“, ძველი ცხოვრების დამხობის რწმენას. ამიტომ გურიამელი ხალხი არ ივიწყებს ილია ჭავჭავაძის სახელს და პატივს სცემს მას, როგორც ცხოვრების დიდ მხატვარს, დიდ მებრძოლ აღამიანს და დიდ მოაზროვნეს.“.

„კომუნისტი“, 29 მაისი, 1938 წ. ტფილისი.

ქრისტეფორე რაჭველიშვილი სწერს: —

„პირველი რაც ახასიათებდა ილია ჭავჭავაძეს სიჭაბუკიდან სიკვდილამდე — ეს იყო სიმტკიცე და მებრძოლობა. მებრძოლის მაღლა აფრიალებული დროშით შემოვიდა იგი 1861 წელს ქართულ ლიტერატურაში, რო-

გორც ახალ - გაზრდა „თერგდალეული“ დროში თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყოველთვის მედგრად, დაუნდობლად იბრძოდა იმისათვის, რაც სიმართლედ მიაჩნდა. მან არ იცოდა კომპრომისი ბრძოლაში. ასეთი იყო იგი პირველ ლაშქრობისას ბარბ. ჯორჯაძის წინააღმდეგ, ასეთი იყო გრ. ორბელიანთან შეტაკებაში, ასეთი იყო „მესამე დასელთა“ მეუმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, აგრეთვე 1905 წელს. მან იცოდა დიდი სიძულვილი, მაგრამ იცოდა დიდი სიყვარულიც“.

კ. ჭეთასელი, საქართველოს განათლების სახალხო კომისარი, დიდ წერილში, ამბობს:

„ილია კატეგორიულად აყენებდა საკითხს ბატონიშვილის მოსპობისა და ყმა გლეხთა განთავისუფლების შესახებ. და მხოლოდ კლასიკური მემკვიდრეობისადმი ნიჭილისტური და ვულგარული დამოკიდებულობით და უმეცრებით შეიძლება აიხსნას ის მტკიცება, თითქოს ილია ბატონიშვილის მხოლოდ გაკეთილშობილებას მოითხოვდა. ეს ვულგარიზატორები და კონტრრევოლუციური ტროციზმის ავენტები იქამდის მივიღნენ, რომ ილია გამოაცხადეს რეაქციონერ ფეოდალად, დესპოტად, გლეხების სისხლის მსმელად და ბატონიშვილის ინსტიტუტის დამცველად, რაც ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასების ანტილენინურ შეხედულობიდან მომდინარეობდა. ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედებითი და პრაქტიკული ზოლვაწეობა ბატონიშვილის მოსპობის, პიროვნების განთავისუფლებისა და შრომის იდეების გამომხატველია“.

გ. სახალხო კომისარის სტილი ბოლშევიკურად ჩვენი დროინდელია, მაგრამ ფაქტი ზედ მიწევნით და სწორედ არის დახასიათებული. საჭიროა მხოლოდ მცირე განმარტება: როცა ეს „განათლებული“ და „კულტურული“ ქართველები ასე სდევნიდნენ ილიას, მათ

არც „ტროცკისტები“ ერქვათ, არც „ანტი-ლენინისტები“ და უბრალოდ და ჩვენებურად „მესამე დასელები“ ეწოდებოდათ. ამ „მესამე დასელებს“ დღესაც არ აულიათ ილიას მტრობაზედ ხელი და არ არსებობს პასკვილი და ბრიყვული აზრი, რომ ილიაზედ არა სთქვან. როცა, 1932 წელს აქ, პარიზში, ქართულმა კოლონიამ ილიას სიკვდილის ოცდახუთი წლის თავი გადაიხადა, „ბრძოლის ხმა“ სწერდა: — რა გააჭირეთ საქმე ამ ილია ჭავჭავა-

ძით! „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნეს“ — ამას ხომ ზურგიელიძეც იტყოდაო!

როცა კითხულობ დღეს, თუ როგორ სწერენ ეხლა ილია ჭავჭავაძეზედ საქართველოში, ძალაუნებურად უნდა იფიქრო, რომ ილია ბოლშევიკურ საქართველოში უფრო პატივცემული ყოფილა, ვიდრე მენშევიკურ ემიგრაციაში.

**

II.

საქართველოში უკვე ღაიწყო დიდებული ქართველის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის თავის დღესაუწეულები. როგორც ცნოლია, მთაცარი ანური ერთვული იქტის ქაქტებერში გაიშათება. მანამდის კი საიუბილეო კრებებს საქართველოს ჩევა და სკუსამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი აწყობენ. ქვემოთ ცნობები ჩვენ მოგვყავს ტფილისის გაზეთებიდან.

ტფილისში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმი

2 ივნისს მწერალთა სასახლეში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სიაუბილეო პლენუმი, მიძღვინილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი.

პლენუმი გახსნა კავშირის პასუხის მგებელ-ბელმა მდივანში ამხ. დ. დემეტრაძემ.

ამხ. დემეტრაძის წინადადებით პლენუმის პრეზიდიუმში შეყვანილ იქნა სომხეთის მოძმე რესპუბლიკის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: კრიტიკოსი ჰაიკ გულიკევხიანი, პოეტი ორდენისანი ნაირ ზარიანი და კელამ

სარიანი და პროზაიკოსი სირასი, აგრეთვე აფხაზეთის დელეგატი ამხ. ჩანბა და სამხრეთ - ისეთის დელეგატი ამხ. ბეჯიზათი. პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილი უჭირავს აგრეთვე ი. ჭავჭავაძის შემოქმედებათა მთარგმნელს რუსულ ენაზე — ლენინგრადელ პოეტს ბორის ბრიკს.

პლენუმმა მოისმინა შალვა რადიანის მოხსენება ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შესახებ.

„ქართული კულტურის ისტორიაში ილია ჭავჭავაძის როლის“ შესახებ საინტერესო მოხსენებით გამოვიდა გერონტი ქიქოძე.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა ნაირ ზარიანი. მან აღნიშნა, რომ დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის შემოქმედება და პიროვნება ახლობელი და ძბირფასია სომხეთის მშრომელებისათვის. ი. ჭავჭავაძის იუბილე სომხეთშიაც იქნება აღნიშნული. პოეტმა ილაპარაკა დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე, ქართველ და სომებს ხალხთა მჭიდრო თანამეგობრობაზე.

ჰაიკ გულკევხიანმა დამსწრეთ გადასცა სალამი საბჭოთა სომხეთის მწერლების სახე-

ლით და მიულოცა იუბილეს შესანიშნავი თარიღი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით სტუმრებს მიესალმა ბესო ულენტი. მან აღნიშნა, რომ სომებს და ქართველ ხალხებს ანათესავებს არა მარტო ისტორია, არამედ დიდი სტალინური ეპოქაც.

3 ივნისის დილის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ჩანბა, დაიწყო პოვტ ს. ჩიქოვანის მოხსენებით: „ილიას პოეტური მემკვიდრეობა“.

მომხსენებელმა დაწვრილებით გაარჩია ი. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა და აღნიშნა: ილიას „აჩრდილი“ — ეს არის დედაძარლვი, რომლიდანაც გამომდინარეობენ მთელი მისი შემდგომი პოეტური ნაწარმოებები.

ილია თავისი მდიდარი პოეტური შემოქმედებით არის თავისი ერის წინამძლოლი, რომელიც ქართველი ხალხის ბედნიერებას ეძებს ყველა ერის საერთო ბედნიერებაში. ამის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს მისი „პარიზის კომუნა“, „აჩრდილი“ და „დედა და შვილი“, სადაც ლაპარაკია მთელი კავკასიის ერთ მთლიანობაზე.

ილიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ირანული ლიტერატურის გავლენის ქვეშ მყოფ ქართულ ფორმალისტურ პოეზიას, ჩახრუხაძის, ბესიკის და სხვების სახით, რადგან ისინი ვერ აძლევდნენ ხალხს გეზს არსებობისათვის ბრძოლაში.

მეორე საკითხზე, „ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვრული რეალიზმის ფუძემდებელი ქართულ ლიტერატურაში“ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბ. ულენტი.

— ილია ჭავჭავაძის იუბილე — ამბობს მოხსენებელი — ეს ტრიუმფია ლენინურ - სტალინური პოლიტიკისა. ლიტერატურული მე-

მკვიდრეობა ჩვენ გვინდა არა იმისათვის, რომ გავადიდოთ და ცამდე ავიყვანოთ ესა თუ ის კლასიკოსი, არამედ იმისათვის, რომ აქედან გამოვავლინოთ ყველა ის, რაც გამოსადევია ჩვენთვის და საიდანაც შეიძლება სწავლობდეს ყოველი საბჭოთა მწერალი.

ილია უდიდესია თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობით, მაგრამ მეტადრე დიდია ქართული რეალისტური პროზის შექმნაში. მან პირველმა ქართულ მწერლობაში დაუკავშირა მხატვრული პროზა სოციალურ ჭიდილს და სავსებით სამართლიანად დაიმსახურა ქართული რეალისტური პროზის მამამთავრის სახელი.

ი. ჭავჭავაძემ თავისი ნამდვილი რეალისტური გზით შესძლო შეექმნა საკუთარი სკოლა ქართული რეალისტური პროზისა. გ. წერეთლის ერემია წარბა ილიას დათიკოს ვარიანტია, ხოლო ნინოშვილის სიმონა იგივე გაბროა და სხვა.

3 ივნისის სალამოს სხდომაზე დაიწყო კამათი მოხსენებათა ირგვლივ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: შ. აფხაზემ, ა. ჭუმბაძემ, აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარემ — ამხ. ჩანბამ, სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბეჯი - ზადემ, შ. დადიანმა, ი. აბაშიძემ, ა. გაწერელიამ და ილიას ნაწარმოებთა მთარგმნელმა, ლენინგრადელმა პოეტმა ბორის ბრიკმა.

4 ივნისს, დილის სხდომაზე, პლენუმზე გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა ირგვლივ.

პირველი სიტყვით გამოვიდა მწერალი დუტუ მეგრელი — დიდი მოხარული ვარ, — ამბობს იგი, რომ მოვესწარ იმ აღამიანის ეგზომ დაფასებას, რომელმაც თავისი მხრებით ზიდა მე - 19 საუკუნის მძიმე ტვირთი. დ. მერგელმა პლენუმს გააცნო „ივერიის“ თანა-



გშრომლებისა და ილია ჭავჭავაძის მიერ მის-
თვისმიწერილი რამდენიმე საყურადღებო წე-
რილი.

შემდეგ განცხადებით გამოდის კ. გამსახუ-
რდია, რომელიც განმარტებას იძლევა „ლი-
ტერატურნაია გაზეტაში“ დაბეჭდილ თავის
წერილზე და პლენუმის ხელმძღვანელობას
არ მისცეს მოხსენება რომელიმე პროზაი
სდებს ბრალს, რომ ილიას პროზის საკითხზე
არ მისცეს მოხსენება რომელიმე პროზაი-
კოსს. პოეტმა ვ. გაფრინდაშვილმა ილაპარა-
კა ილიაზე, როგორც უცხოეთის ლიტერატუ-
რის ერთერთ პირველ და საუკეთესო მთარ-
გმნელზე, და გააკრიტიკა შ. რადიანის იმ წე-
რილის რამდენიმე არასწორი დებულება, რო-
მელიც დართული აქვს სახელგამის მიერ 1937
წელს გამოცემულ ილიას ერთტომეულს.

რ. ქორქია შეეხო ილია ჭავჭავაძის იმ ნა-
წარმოებებს, რომლებიც ბავშვებისთვის არ
დაწერილა, მაგრამ რომლებსაც ბავშვები მა-
ინც დიდი ინტერესით კითხულობენ. პ. ჩხიკ-
ვაძემ ილაპარაკა ილია ჭავჭავაძეზე, როგორც
სალიტერატურო კრიტიკის ფუძემდებელზე,
და აღნიშნა: საქართველოში პირველმა ილია
ჭავჭავაძემ უარპყო ლოზუნგი „ხელოვნება
ხელოვნებისათვის“ და დაასკვნა: ხელოვანი
უნდა შედიოდეს ხალხის გულში, სწავლობდეს
ხალხის ცხოვრებას, მის ჭირვარამს და იყენე-
ბდეს მას მთელი თავისი ეშმოქმედების საზრ-
დოთო.

შემდეგ ილაპარაკეს ტ. ტაბიძემ, დ. ბენა-
შვილმა და სხვ.

პლენუმი დამთავრდა მწერალთა კავშირის
მდივან ამნ. ბ. ულენტის საბოლოო სიტყვით.

ხელოვნების მუშაკთა სახლში.

ხელოვნების მუშაკთა სახლში საქართვე-
ლოს ხალხური შემოქმედების კაბინეტმა მო-
აწყო ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლ.
შესრულებისადმი მიძღვნილი სალამო. სალა-

მოზე ვრცელი შესავალი სიტყვა წარმოსთვე-
ამხ. ალ. დუდუჩავამ. ილია ჭავჭავაძის შემო-
ქმედების შესახებ საინტერესო მოხსენებით
გამოვიდა ვ. კოტეტიშვილი. მან ხალხურ შე-
მოქმედებას და ილიას შემოქმედებას შორის
საინტერესო პარალელები გაიყვანა. ვრცლად
შეჩერდა ილიას პოეზიის ფორმალურ მხარე-
ებზე და სხვ.

შემდეგ მოგონებით გამოვიდა არტემ ახნა-
ზაროვი, რომელსაც ილიასთან 17 წელიწადი
უმუშავნია. ახნაზაროვმა ბევრი საინტერესო
მაგალითი მოიყვანა ილიას ცხოვრებიდან. მათ
შორის საინტერესო გაზეთი „ტიფლისკი ლი-
სტოკის“ პოლემიკური თავდასხმა „ივერია-
ზე“.

ერთ დილას, „ივერიის“ რედაქციის კიბეებ-
ზე რომ ჩამოვდიოდი, წინ ილია შემხვდა და
მკითხა: არტემ, რა ამბავია დღეს გაზეთებშიო.
ამ შეკითხვაზე ლიმილით ვუპასუხე — „ტიფ-
ლისკი ლისტოკი“ სწერს, „ივერია“ რა გაზე-
თია, უკულმა რომ წაიკითხოთ, „აირევი“ გა-
მოვაო. ამაზე ილიას არაფერი უთქვამს, ცო-
ტა ხნის შემდეგ „ივერიაში“ დასაბეჭდათ
წერილი გამომიგზავნა, რომელიშაც ეწერა:
თავშივე ვაფრთხილებ ჩვენს მკითხველს, რომ
უკულმა ნუ წაიკითხავთ, თორემ აირევითო.

ახნაზაროვის შემდეგ გამოვიდა ძველი უუ-
რნალისტი ი. მანსვეტაშვილი, რომელმაც თა-
ვისი მოგონებების წიგნიდან წაიკითხა ილიას
შესახებ მრავალი ადგილი. მანსვეტაშვილმა
წაიკითხა აგრეთვე ილიას ლექსების რუსული
თარგმანი.

სალამოს მხატვრულ განყოფილებაში რეს-
პუბლიკის სახ. არტისტმა ა. იშედაშვილმა წა-
იკითხა ადგილები „მგზავრის წერილებიდან“,
რესპ. სახ. არტისტმა ნინო ჩხეიძემ წაიკითხა
„ნანა“, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ-
მა აკაკი ვასაძემ წაიკითხა ილიას პარიზის კო-
მუნისადმი მიძღვნილი ლექსი. ამნ. შერმანმა

ნაწყვეტები „ოთარაანთ ქვრივისა“ და „კაცია აღამიანის“ რუსული თარგმანიდან.

შემდეგ გაიმართა საკონკრეტო განყოფილება. პირველად გამოვიდა სახელმწიფო კაპელა, რესპ. დამსახურებული არტისტის მელიტონ კუხიანიძის ხელმძღვანელობით. კაპელამ შეასრულა ილიას სიტყვების მიხედვით დაწერილი სიმღერები. შემდეგ გამოვიდა მესტვირე ბიჭია ბურდულაძე, რომელმაც იმღერა ილიასადმი მიძღვნილი ლექსი.

აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ მოძღვრალთა გუნდმა ორდენოსანი ლოტბარის ს. კავსაძის ხელმძღვანელობით შეასრულა მრავალი საინტერესო სიმღერა. სახალხო მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა ფანდურზე და გუდასტვირაზე შესრულა ხალხური სიმღერები. კარგად გამოდიოდა მეჩონგურეთა ანსამბლი ორდენოსანი ლოტბარის აქვესნტი მეგრელიძის ხელმძღვანელობით.

ტფილისის უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში მოეწყო ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია.

29 მაისს მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. მიხ. ზანდუკელი — „ი ჭავჭავაძის დემოკრატიული მოტივები“, პროფ. აკ. შანიძე — „ი. ჭავჭავაძე, როგორც ქარუთლი სალიტერატურო ენის ფუძემდებელი“. ვ. ასათიანი — „ი. ლია და 60-ნ წლების ლიტერატურული მოძრაობა“.

31 მაისის სხდომაზე პროფ. მიხ. ზანდუკელმა გააკეთა მოხსენება თემაზე: — „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“, პოეტმა ი. გრიშაშვილმა: — „ილია და თეატრი“, დოკ. ვ. კაკაბაძემ — „ი. ჭავჭავაძა უურნალ „ცისაკარსა“ და „საქართველოს მოამბეჭი““.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა

მხატვრული განყოფილება, რომელშიც წაკითხულ იქნა ილიასადმი მიძღვნილი ლექსები.

სალამოს დასასრულს უნივერსიტეტის დრამატიული წრის ძალებით წარმოდგენილ იქნა რნსცენირება „განდეგილიდან“ და ადგილები „კაკო ყაჩალიდან“.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა განათლების მუშაკთა სახლის დარბაზში მოაწყო ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამო.


სალამოზე პროფ. ს. ჯანაშიას შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. ივ. ჯავახიშვილი — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, პროფ. აკ. შანიძე — „ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ახალი სალიტერატურო ქართულის შექნაში“, პ. იმედაძე — „ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“ (რუსულად) და პროფ. არნ. ჩიქობავა — „ილია ჭავჭავაძის ენა“.

სალამოს მეორე განყოფილებაში თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის ორდენოსანი თეატრის მსახიობებმა ნ. ქუმსიაშვილმა, პ. ამირანაშვილმა და ცომაიამ შეასრულეს არიები ოპერა „კაკო ყაჩალიდან“.

პოეტებმა ვ. გორგაძემ და ვ. გაფრინდაშვილმა წაიკითხეს ილიასადმი მიძღვნილი ლექსები.

ვანათლების მუშაკთა სახლში

აკად. ნ. ი. მარის სახელობის ენისა, ისტორიისა და მატერიალური კულტურის სამეცნიერო ინსტიტუტმა 31 მაისს განათლების მუშაკთა სახლში მოაწყო საიუბილეო სალამო, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი.



სალამო გაიხსნა ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ს. ნ. ჯანაშიას შესავალი სიტყვით. და-მსწრეებმა დიდი ინტერესითა და ყურადღებით მოისმინეს მოხსენებანი: პროფ. ი. ა. ჯავახი-შვილისა თემაზე „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, პროფ. ა. გ. შანიძისა — „ილია ჭავჭავაძის დამსახურება ახალი ლიტერატურული ქართული ენის შექმნის საქმეში“, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მეცნიერი მდივნის ვ. კ. იმედაძისა — „ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“ და პროფ. ა. ს. ჩიქობავასი — „ილია ჭავჭავაძე ქართული ენის შესახებ“.

სალამოს სამხატვრო ნაწილში ოპერის არტისტებმა, ორდენოსნებმა ქუმისიაშვილმა, ამირანაშვილმა, და ცომაიამ შეასრულეს ნაწყვეტები ლალინოვის ოპერა „კაკო ყაჩალიდან“, ხოლო პოეტებმა ვ. გაფრინდაშვილმა და ვ. გორგაძემ წაიკითხეს ილია ჭავჭავაძისადმი მიღვნილი ლექსები.

X

პროვინციაში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ შედგენილმა მწერალთა რვა ბრიგადამ მოიარა რესპუბლიკის რაიონები, სადაც 13 მაისიდან მოკიდებული გაიმართა 40-ზე მეტი სალამო, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი.

ბრიგადების წევრთაგან მწერლები ს. თავაძე და ვ. გაბესკირია გამოვიდნენ მოხსენებებით მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებსა და საგარეჯოში. სილნალის რაიონს იმავე მიზნით ესტუმრნენ დ. ბენაშვილი და ა. გომიაშვილი. წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ხობის რაიონებში იყვნენ კ. მელაძე და გ. ქუჩიშვილი. მწერალი ა. არსენიშვილი გამოვიდა ბაშ-

კიჩეთის, ალბულალის და ბორჩალოს რაიონებში, ხოლო გ. მებუკემ რამდენიმე საიუბილეო სალამო მოაწყო ქუთაისში.

მთელი რიგი სალამოები მოაწყო მწერლებმა შ. აფხაძემ და ვ. უურულმა სამხრეთ - ოსეთში, მახარაძის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებში.

მსხვილ სამრეწველო საწარმოთა რაიონებში — ჯულელის ფერომარგანეცის ქარხანაში, ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში და სხვ. იყვნენ ვ. გაფრინდაშვილი და ვ. გორგაძე.

ამ დღეებში აბაშის, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონებში საიუბილეო სალამოების მოსაწყობად გაემგზავრებიან ა. სულავა და ი. აბაშიძე.

მთელი რიგი საიუბილეო სალამოები მოეწყობა თბილისში, საგურამოში, კოჯორში და სხვაგან.

აჭარის სახელმწიფო თეატრში

29 მაისს აჭარის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამო. ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით ქართულ ენაზე გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენელი ამხ. ა. ჯაჯანაშვილი. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელმა ამხ. დუმბაძემ.

აჭარის პოეტებმა ლორიამ, მალაზონიამ და რუხაძემ წაიკითხეს ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები. შემდეგ გამოვიდნენ თეატრის არტისტები და ბათუმის სკოლების მოწაფენი, რომლებმაც წაიკითხეს ი. ჭავჭავაძის ლექსები და ნაწყვეტები მის პროზაულ ნაწარმოებთაგან. მუსიკალური სასწავლე-

ბლის მოწაფეებმა შეასრულეს მთელი რიგი მუსიკალური ნომრები, დაწერილნი ი. ჭავჭა-ვაძის სიტყვებზე.

აჭარის ასს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ბათუმის ნომერ რვა სრულ საშუალო სკოლას, ბალს ვორონოვის ქუჩაზე და ქობულეთის პე-დაგოგიურ სასწავლებლებს დაერქვა ი. ჭავჭა-ვაძის სახელი. ბალის ქუჩას ბათუმში სახელი გამოეცვალა და დაერქვა ჭავჭავაძის ქუჩა. სა-მასწავლებლო ინსტიტუტში შემოღებულია ი. ჭავჭავაძის სახელობის სამი სტიპენდია.

ლაგოდეხში

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოს ლა-გოდეხის კლუბში დიდალი ხალხი დაესწრო. საიუბილეო სხდომას ხელმძღვანელობდა საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის კულტპროპგან-ყოფილების გამგე ამხ. მაცაბერიძე. ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსე-ნება გააკეთა საქართველოს მწერალთა კავში-რის წარმომადგენლმა ამხ. დ. ბენაშვილმა, სი-ტყვებით გამოვიდნენ ადგილობრივი სკოლე-ბის მასწავლებლები და ხელმძღვანელი ამხა-ნაგები.

საინტერესო იყო მოწაფეების გამოსვლა, რომლებმაც წაიკითხეს საკუთარი ლექსები, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისადმი.

სალიტერატურო განყოფილების შემდეგ მოწაფეთა გუნდებმა შეასრულეს სიმღერები ილია ჭავჭავაძის ლექსებიდან: „მესმის, მეს-ის“, „გუთნის დედა“ და სხვ.

დასასრულ ლაგოდეხის ტექნიკუმის მოწა-ფეთა თვითშემოქმედების წრემ მოაწყო ილია უკვდავი პოემის „კაკო ყაჩალის“ ინსცენირება.

ილიას სახელის უკვდავსაყოფად ლაგოდე-ხის რაიკომისა და რაიაღმასკომის დადგენი-ლებით ლაგოდეხის ერთერთ ქუჩას და პირველ სკოლას ეწოდა ილიას სახელი. აღნიშნული დაზგენილება გამოცხადებულ იქნა საიუბი-ლეო სხდომაზე.

წითელი არმიის ნაწილებში გამოცხადება

7 ივნისს აუჭალის ბანაკში წითელი არმიის მებრძოლებისათვის გაიმართება დიდი ქართ-იელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილ. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავის შეს-რულების დრო შიძლვნილი საზეიმო სხდომა.

საღამოზე გონიერებით: „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება“ გამოვა საქართ-ველოს მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. ბ. ელენტი.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვლენ და ილიასადმი მიძღვნილ ნაწარომებებს წაი-კითხავენ წითელი არმიის მებრძოლები და პრ-ეტები

საღამოს დასასრულს გაიმართება დიდი კო-ნცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მაილე-ბენ თბილისის ოპერისა და ბალეტის ლეჩანის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრისა და მარ-ჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები.

X


სომხეთში

4 ივნისს ერევნის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის დარბაზში გაიმართა საზეიმო საღამო. ვიძღვნალი უდიდესი ქართველი კლასიკის აღია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავი...-დო-

საზემო საღამო გახსნა ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ს. აკოპი-ანშა, რომელმაც დაახასიათა ი. ჭავჭავაძის დი-დი როლი ქართლი ლიტერატურის განვითა-რებაში.

მოხსენებით ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გ. ზანდუკველი.

შემდეგ გამოვიდა სომხეთის საბჭოთა მწერ-ლების კავშირის პაუხისმგებელი მდივანი გ.



აბოვი, როელმაც აღნიშნა, საჭიროა ი. ჭავჭა-
ვაძის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობ-
ბის ყოველმხრივი შესწავლა.

თავისი ლექსი, მიძღვნილი ხალხთა განუ-
ყრელი სტალინური მეგობრობისადმი, წაიკი-
თხა ლიტერატურის ფაკულტეტის პირველი
კურსის სტუდენტმა ახალგაზრდა პოეტმა ოვ-
ანეს შირაზმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელ-
შიც მონაწილეობა მიიღეს ერევნის ოპერისა
და სომხეთის ფილარმონიის მსახიობებმა.

სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის
დეპეშა.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის
სახელზე ერევნიდან მიღებულია საბჭოთა
მწერლების შემდეგი დეპეშა:

„სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირი
თქვენთან ერთად დიდად აფასებს საქართვე-
ლოს უდიდესი მწერლის ილია ჭავჭავაძის შე-
მოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეო-
ბას. ჭავჭავაძე ქართულ რეალისტურ ლიტერა-
ტურის უდიდესი პოეტი, რომანისტი და კრი-
ტიკოსია, როელმაც თავისი შემოქმედებით

გამოამუდავნა ფეოდალური წესწყობილება
და მეფის კოლონიალური პოლიტიკა, რომე-
ლიც იმალლებდა თავის საპროტესტო ხმას ყო-
ველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინა-
აღმდეგ.

სომხეთის მწერალთა საზოგადოებრიობა
და სომხეთის მშრომელები ეკნობენ ილია ჭა-
ვჭავაძეს, როგორც მშრომელთა განთავისუფ-
ლებისათვის მებრძოლს.

ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის შეს-
რულებასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ მი-
ღებულია მთელი რიგი ლონისძიება მისი შემო-
ქმედების უფრო მეტი პოპულიარიზაციისათ-
ვის.

ჭავჭავაძის კულტურულ მემკვიდრეობას
უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქარ-
თველი ხალხისათვის, არამედ საბჭოთა კავში-
რის ყველა ხალხებისათვისაც.

გაუმარჯოს მოძმე საქართველოს ლიტერა-
ტურას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლი-
ტერატურის ნაციონალურ კავშირს!

პრესის მიმოხილვა

ჩვენი ძირითადი დებულება იყო და არის
დღესაც, რომ კავკასიის ერთა გაერთიანება
საერთო კავკასიურ ნიადაგზედ უნდა მოხდეს.
საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და
ჩრდილო კავკასიის მომავალმა დამოუკიდე-
ბელ სახელმწიფოებმა ერთ კონფედერატი-
ულ ორგანოში უნდა ჰქოვონ გაერთიანება,
რომლის უმთავრესი დანიშნულება კავკასი-
ურ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გარეშე
მტრისაგან დაცვა უნდა იყოს.

ისეთი დებულება, რომ კავკასიური ერები
ჯერ სარწმუნოების მიხედვით უნდა გაერთი-
ანდნენ ერთმანეთში და მერე ქართველ - სო-
მეხთა ჭრისტიანულმა ბლოკმა შეჰქრას მთი-

ელ - აზერბაიჯანულ ბლოკთან კავშირი,
არასოდეს არ წამოგვიყენებია.

პირიქით, როდესაც კავკასიურ ემიგრაცია-
ში თავი იჩინა ისეთმა მიმდინარეობამ, რო-
მელიც საბუთს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ
სწორედ ასეთ „სარწმუნოებრივ“ ბლოკთან
გვქონდა საქმე — ასეთი იყო ჩვენის აზრით
სომხეთ - ქართული უნიონი“, პირველები
ჩვენ ვიყავით, რომ ამის წინააღმდეგ გავილა-
შქრეთ, დავგმეთ და ასეთი მიმართულება კა-
ვკასიის ერთა გაერთიანების საქმისათვის მა-
ვნედ მივიჩნიეთ. უურნალ „კავკაზის“ პოზი-
ცია ამ საკითხში საკმაოდ აშკარა და ნათელი
იყო. ამ ამბავს ჩუმად შეხვდა და კარგა ხანს

მდუმარებლა ეგრედ წოდებულ „კავკასიის კონფედერაციის საბჭოში“ შემავალი ნაწილი კავკასიური ემიგრაციისა. „სომხურ - ქართული უნიონის“ გამოჩენის თითქმის ერთი წლის შემდეგ მოხდა მხოლოდ ის ამბავი, ისიც ხათრის დიდი გატეხით და გვეგონია სინაციულითაც, რომ ამ „საბჭომ“ ხმა ამოიღო, ხმა ამოიღეს ბოლოს ქართველმა მენშევიკებმა და თითქოს დაჰვიტეს ეს „უნიონი“. უურნალ — კავკაზის“ როლი ამ საქმეში ყველასათვის ცხადია.

მაგრამ სრულიად მოულოდნელად და კეთილ - გონიერი ადამიანი ვერასოდეს ვერ მიხვდება თუ რა მიზეზით, ასეთი „სარწმუნოებრივი“ ბლოკის და „უნიონების ქადაგებას კავკასიურ ერთა შორის, ეს აქამდის ხმა გაკმენდილი ხალხი დღეს ჩვენ გვაბრალებს. თურმე „კავკაზი“ ყოფილა ასეთი „ბლოკების“ მომხრე! ეს ამბავი ჩვენი მოგონილი არ არის და ამას ამტკიცებს ბ. რასულ - ზადე „კურტულუშში“. ეს ცოტაა და ბ. რასსულ - ზადეს წერილს სთარგმნის უკომენტარიოდ ბ. ჩხერიძელი თავის „დამოუკიდებელ საქართველოში“, რომელსაც ორი წლის განმავლობაში, ამ „უნიონის“ შესახებ, ძლივს ამოვალებინეთ ხმა.

ბ. რასულ - ზადე, თავის წერილში, სადაც მნიშვნელობა კავკასიურ მუსულმანთათვის, არამედ პანთურანიზმისაც, ურომლისოდ, არა განმარტებულია არა მარტო პანისლამიზმის მარტო კავკასიურ აზერბეიჯანელებს ვერ შესძლებით თავისი ეროვნული კულტურის გზნებითარება, არამედ კავკასიურ მთიელებსცც, დიდ მოწყალებას ქადაგებს და მოუწოდებს მათ, რომ ეს

„აზერბეიჯანელების და მთიელების ძმური დამოკიდებულება და სულიერი ერთობა გავრცელდეს კავკასიის ყველა ერის ურთიერთობაზე. მაგრამო, ამბობს ბ. რასულ - ზადე, მიუხედავად ამისა,

მარტივი და მიმართული კავკასიის კონფედერაციის აშენება, უნიონის კავკაზის“ თანამშრომლებს, იმ ლოზუნგის თანახმად, რომ ჯერ მაჰმადიანები და მერე ქრისტიანები, — ყოვლად შეუძლებელია. ასეთი მეთოდი კი არ შეაერთებს, არამედ დაარღვევს კავკასიას“ - ღ.

ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო! დეე, ჯერ „კურტულუშშა“ და შემდეგ მის დამქაშ - მთარგმნელებმა გვიჩვენონ ისეთი ნაწერი უურნალ „კაზკაზისა“, რომელშიაც ის კავკასიურ - მაჰმადიანების კალკე გაერთიანებას ქადაგებდა და ისიც იმ დროს, როცა უურნალი „სომხურ - ქართულ უნიონს“ სძრახავდა ამის გამო.

ყოველივე ეს მტკნარი სიცრუე და ყოვლად უჭირუ გამოლაშქრებაა (თუ უსინიდისოც არა!) საკითხების ისეთი დარგის გამო, რომლის მიმართ „კავკაზის“ დამოკიდებულობა მუდამ ნათელი იყო.

—

შრომიკა

ქ. ჩოლოყაშვილის საფლავზედ

კვირას 27 ივნისს, სენტ - უენის სასაფლაოზედ, ჩვენი ეროვნული გმირის ქ. ჩოლოყაშვილის საფლავზედ, დიდალმა ქართველობამ მოიყარა თავი. დაქსაქსულ და დაშლილ ემიგრაციაში ეს წმიდა საფლავი, მაინც ის აღვილის, სადაც ყოველი ქართველი ემიგრანტი დიდის მოვალეობისა და დიდის მაღლობის გრძნობით აღსავსე მიდის, თუ რა თქმა უნდა, გაუსწორებლად არ არის ქართველობისაგან გადარჯულებული.

საფლავი უხვად იყო ყვავილებით მორთული. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთვა ქართული კოლონიის თავმჯდომარემ ბ. ვ. ლამბაშიძემ.